გაზეთი გაცხადდა 1999 წლიდან

ქართველების გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იღლარი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№418 (477) 14-28 ნოემბერი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: პოლიტოლოგ უმლანდის ნაშრომიდან გამომდინარე

გვ.3

## ალექსანდრე ჭაჭია: ლმერთმა მიწა გვიწყალობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ლმერთის ნაწყალობევის გაყიდვის უფლება არ გვაქვს

გვ.2

## გივი სომხიშვილი: ქაჯების საზეიმო შეყრილობის მცდელობა

გვ.6

## ბორის დავითაია: ფუცუ დგებუაძე-ფულარია — 130

გვ.8

## თენგიზ კუბლაშვილი: ტელეკრატიის მარწუხებში

გვ. 7

## “მოიზიდე და მოკალი” ფაროსანა გვიტევს!

გვ.5

## მეგის ქარდავას წინააღმდეგ საქართველოში 9 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული

გვ.8

## ხათუნა გოგია: ალექსეევნა

გვ.9

გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

გვ.11

## მანანა ნოზაძე: თანამედროვე ქართველი მამლუქები

ოლოი
ეროვნული
ფასეულობა

# ღმერთმა მიწა გვიწყალობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღმერთის ნაწყალობევის გაყიდვის უფლება არ გვაქვს

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან უკვე 26 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ პრობლემები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას 1991 წლიდან აწუხებდა, დღესაც მოუგვარებელია, მეტიც – უფრო დამძიმდა.

დღეს ქართველი ერი, მართლმადიდებელი ეკლესია, ეროვნული ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოგვიყვანა, გააფთრებულ თავდასხმას განიცდის დასავლეთის მიერ წაქეზებული ულტრალიბერალებისგან, რომლებიც ცდილობენ, ქვეყნისთვის ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებისგან, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დემოგრაფიული კრიზისი, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა, უმუშევრობა, უცხოელების მოძალება თუ ქართველების ემიგრაცია, ყურადღება გადაიტანონ თითიდან გამოწოვილ პრობლემებზე – ქალების სექსუალურ შევიწროებაზე, ოჯახურ ძალადობაზე, ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაზე, და ერი ეროვნული ფასეულობების უარყოფისა და დასავლეთისგან თავსმოხვეული ე.წ. ფასეულობების დამკვიდრების პროცესში ჩაითრიონ.

დღეს ქართველი ერი არა მხოლოდ სულიერი გადაგვარების, არამედ ფიზიკური განადგურების პირასაა. 2002 წელს საქართველოში 4.371.534 ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით კი – 3.713.804 ადამიანი, ანუ 12 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა 657.730 კაცით შემცირდა. 2003-2014 წლებში საქართველოდან უცხოეთში წავიდა და იქ, ერთ წელზე მეტია, ცხოვრობს დაახლოებით 750 ათასი კაცი. ამას ემატება უცხოელების მოძალება, რომლებიც ისედაც მცირემიწიან საქართველოში მიწებს ყიდულობენ და სახლდებიან.

შედეგად, როგორც ქართველი მეცნიერები ამბობენ, **“დღეს მიწის ყიდვა-გაყიდვა სრულიად თავისუფალ ბაზარზე მინდობილია მსოფლიოს მხოლოდ ერთ ქვეყანაში – საქართველოში”**. ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ მიწა უცხოელებს არ უნდა მივყიდოთ, რადგან უცხოელი საქართველოში მიწას იმიტომ ყიდულობს, რომ მერე უფრო ძვირად გაყიდოს, რაც სპეკულაციური ოპერაციაა და ქვეყნის ეკონომიკისთვის სასარგებლო არ არის; ან ყიდულობს იმისთვის, რომ თავისიანები ჩამოიყვანოს და დაასახლოს, რაც საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს უქმნის საფრთხეს. იმ საფრთხეზე, რომელიც ემუქრება ისედაც ტერიტორიაშემოძარცვულ და დემოგრაფიული კატასტროფის პირას მდგომ ქვეყანას, ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ზუსტად 2 ათეული წლის წინათ მიგვითითებდა.

აი, რას ამბობდა ის 1997 წლის დეკემბერში გაზეთ **“საქართველოსთვის”** მიცემულ ინტერვიუში:

“ქართველი კაცისთვის მიწა ღვთით ბოძებული სიმდიდრეა. ეს სიმდიდრე არ შეიძლება ვაჭრობის მიზნით გამოიყენებოდეს. მიწამ ადამიანს შემოსავალი დახარჯული შრომისა და დაღვრილი ოფლის საფასურად უნდა მისცეს. ამასთანავე, ღმერთმა მიწა, ერთ თაობას კი არა, მთელს ერს უბოძა, ერი კი მომავალ, ჯერ არდაბადებულ თაობებსაც მოიცავს. ამიტომ დღეს მცხოვრებ ადამიანთაგან არავის აქვს უფლება, განაგებდეს იმას, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის”.

* შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბატონ ალექსანდრეს, რადგან ისედაც მცირემიწიან საქართველოში, რომლის ტერიტორიაც, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, სულ 69,7 ათასი კვ.კმ-ია, არ შეიძლება ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი – მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა, გადაწყვიტოს ერთმა თაობამ, როგორი ბრძენიც უნდა იყოს ის. არადა, დღეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 5-5,5%, ანუ 50-55 ათასი ჰექტარი მიწა უცხოელების საკუთრებაა.

კიდევ ერთი ამონარიდი ალექსანდრე ჭაჭიას 20 წლის წინანდელი ინტერვიუდან:

“მიწის შესახებ კანონის განხილვის პერიოდში ქართველი გლეხები, ანუ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ამუშავებენ მიწას და რომლებისთვისაც ქალაქელ “რეფორმატორებს” ამ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა (ყოველ შემთხვევაში, ასე გვიხსნიან ამ კანონის მიღების აუცილებლობას) სურთ, დაჟინებით სთხოვდნენ ხელისუფლებას, არ მოქცეულიყო ასე, რადგან ხვდებოდნენ, რომ ეს კანონი მხოლოდ ზიანს მოგვაყენებდა, მაგრამ ჩვენმა “განათლებულმა”, “სწავლულმა” მინისტრებმა გლეხთა მოსაზრება მათი “ჩამორჩენილობის”, “ველურობისა” და “არაცივილიზებულობის” გამოვლენად ჩათვალეს. მათი ლოგიკა ხომ ასეთია: ამერიკასა და კანადაში ნანახი ჰყავთ მიწის მფლობელი ფერმერები; რადგან ამერიკელები და კანადელები “ცივილიზებული” ხალხია, ე.ი., საქართველოშიც მათ მსგავსად უნდა მოვიქცეთო. გარდა ამისა, თუ არ იქნება კანონი მიწის გაყიდვის შესახებ, სავალუტო ფონდი კრედიტებს არ გამოყოფს, ხოლო თუ კრედიტები არ იქნება, რაღა დაიტაცონ? მიწის შესახებ კანონის თავს მოხვევის მექანიზმი “კლასიკურად” პრიმიტიული იყო. გერმანიაში მიავლინეს რომელიღაც ახალგაზრდა იუსტიციის სამინისტროდან, რომელმაც იქ მოქმედი კანონის ტექსტი ჩამოიტანა, თარგმნეს ეს ტექსტი ქართულად (ისიც შეცდომებით) და აამოქმედეს პროპაგანდისტული მანქანა ლოზუნგით: ასეა მოწყობილი ცივილიზებულ გერმანიაში და ასევე უნდა მოვაწყოთ ჩვენც, თუ გვსურს ცივილიზებულნი ვიყოთო. ნუთუ ნაკლებ ცივილიზებულია ჰოლანდია, სადაც ფერმერებს მიწა იჯარით, მემკვიდრეობითობის უფლებით ეძლევათ, ან ისრაელი, სადაც მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის და მისი დამუშავების კოლექტიური ფორმებია მიღებული (კიბუცები)? სხვათა შორის, ეს ორი პატარა ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტიანობით არც ერთ მოწინავე ქვეყანას არ ჩამოუვარდება. დასავლური პრინციპების ძალდატანებითი ტრანსპლანტაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისადმი მონური მორჩილების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები დამღუპველია არა მხოლოდ თანამედროვე საქართველოსთვის, არამედ ქართველი ერის მომავალი თაობებისთვისაც. ასეთი გადაწყვეტილებების რიცხვს მიეკუთვნება პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მიწის შესახებ, რომელიც მის კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. მიწის ყიდვა-გაყიდვა საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სიღატაკეში იმყოფება და ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის, შეუძლებელია ქართველთა ინტერესებს ემსახურებოდეს. კანონში არსებული დებულება უცხოელების მიერ საქართველოში მიწის ყიდვის აკრძალვის შესახებ ისეთი უსუსურია, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. ანალოგიური აკრძალვა პოლონეთშიც იყო მიღებული, მაგრამ, როდესაც უცხოელების მიერ ცრუმაგიერი პირების მეშვეობით მიწის შესყიდვის პროცესმა გარკვეულ დონეს მიაღწია, ფაქტობრივმა მფლობელებმა უკმაყოფილება გამოხატეს და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პოლონეთისგან აკრძალვის გაუქმება მოითხოვა, რაც სეიმმა დაუყოვნებლივ შეასრულა კიდეც, ასე მოხდება საქართველოშიც”.

* დასავლური პრინციპების ძალდატანებით გადმოტანაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისადმი მონურ მორჩილებასა და ამ რეკომენდაციების შედეგად მიღებულ დამღუპველ გადაწყვეტილებებზე ალექსანდრე ჭაჭიას შემდეგ სხვა ექსპერტებიც ალაპარაკდნენ.

აი პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას კიდევ ერთი გაფრთხილება, ამჯერად გაზეთ “საქართველო და მსოფლიოს” (№20 (207), 5-11 ივნისი, 2013 წ.) ფურცლებიდან:

“თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ, მომყავდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაებნენ, ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის “ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა” და, “თუ ჩვენ ევროპაში გვინდა”, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებულები. მთავარი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას “საბჭოთა ჩიხიდან” გამოიყვანს. ეს ასფალტზე გაზრდილი “ექსპერტები” არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა გამორჩეული ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაგად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ “ექსპერტები” ამას მათი “ჩამორჩენილობითა” და “საბჭოთა მენტალიტეტით” ხსნიდნენ. მახსოვს ტელერეპორტაჟი კახეთიდან, რომელშიც ჟურნალისტმა ჰკითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. გლეხმა დაღონებულმა შეხედა მას და უპასუხა: “გავყიდი, შვილო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დავამუშავებ?”. ჩვენს “ცივილიზებულ” ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ხოლო რათა მიიღო მოსავალი, მიწა უნდა დაამუშავო, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა. შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდება მის გაყიდვას; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას. მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არა მხოლოდ მცირემიწიანობის მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არაა მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ – წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არცერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის. ღმერთმა მიწა გვიწყალობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღმერთის წყალობის გაყიდვის უფლება არ გვაქვს. თავის დროზე ძალიან გამიკვირდა, რომ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გამოთქვა პროტესტი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე”.

* თუ ხელისუფლება კვლავაც განაგრძობს ტერიტორიაშემოძარცვული საქართველოს მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას, იმის გათვალისწინებით, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას მიწის დასამუშავებლად სახსარი არ აქვს და ლუკმაპურის ფულის საშოვნელად უცხოეთში გარბის, საქართველოში ქართველები მალე უმცირესობა ვიქნებით, მიწას კი უცხოტომელები დაეპატრონებიან.

ალექსანდრე ჭაჭია ქართველი ერის გადარჩენის გზებზეც მიუთითებდა:

“ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინათ შევიმუშავე და გამოვაქვეყნე “საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია”, რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის – “ქართველობის გადასარჩენად!” შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე “ნაციონალისტი” და “კრემლის რუპორი” მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს “ოპოზიციას” ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი “ანტიამერიკანიზმი” და “ანტიევროპეიზმი”. დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა – თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი განაგრძობს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: “მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!”. სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო “ბრუნდება” ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა. შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები – მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ. საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში “თერგდალეულთა”, დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით, ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. უმრავლესობის ნება – დემოკრატიის საფუძველი – აღარაფერს წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ისა და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში – “უმცირესობათა” მოთხოვნებმა. მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ “უმცირესობათა უფლებების” დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები” (გაზეთი “საქართველო და მსოფლიო”, №19 (206), 29 მაისი – 4 ივნისი, 2013 წ.).

* როგორც ხედავთ, ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკური პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ, რომლებიც ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა, ზედმიწევნით ზუსტი აღმოჩნდა – დღეს ქართველ ერს თავს ახვევენ ე.წ. დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ოჯახის კულტსა და ეროვნულ ტრადიციებს, უტევს მართლმადიდებლობას, როგორც ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების უკანასკნელ ბასტიონს. დასავლური თანამედროვე ღირებულებებისადმი გაუაზრებელი თაყვანისცემით ერი გადაგვარების გზას დაადგა. დღეს ახალგაზრდა თაობის დიდ ნაწილს ქართული მამაპაპური ტრადიციების დაცვა ჩამორჩენილობად მიაჩნია, დაბალია შობადობის, განათლებისა და სოციალური დაცვის დონე, დიდია მიგრაცია და, შესაბამისად, ერი გადაშენების პირასაა. ამიტომ, თუ გვინდა, გადავრჩეთ ფიზიკურად და სულიერად, ენა, მამული (მიწა) და სარწმუნოება უნდა შევინარჩუნოთ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

***ცნობისთვის:** მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 6 ქვეყანაში არ არის მიწის თავისუფალი ბაზარი. ეს ქვეყნებია: სამხრეთი კორეა, კუბა, ვენესუელა, ტაჯიკეთი, კონგო და უკრაინა. ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ესტონეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ავსტრია, შვეიცარია, ახალი ზელანდია და სხვ, სხვადასხვა შეზღუდვაა დაწესებული მიწის შეძენაზე. ხორვატიაში, სერბეთში, ისრაელსა და დიდ ბრიტანეთში კი უცხოელი მიწას ვერ იყიდის.*

# პოლიტოლოგ უმლანდის ნაშრომიდან გამომდინარე

გაზეთ **"საქართველოს რესპუბლიკის"** ა.წ. 27 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა გერმანელი პოლიტოლოგის ანდრეას უმლანდის ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას პერსპექტივა ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. პოლიტოლოგის მიერ შემოთავაზებული ვარიანტები, არაფრით განსხვავდება მისი ევროპელი კოლეგების ვარიანტებისგან, რომლებიც შეფარულად თუ ღიად გვიმტკიცებენ რუსეთიდან მომავალი საფრთხის თაობაზე და აქედან გამომდინარე თავდაცვითი ღონისძიებების გატარების შესახებ.

ნაშრომის ავტორი ისეთივე ბაცილით არის დაავადებული, როგორითაც ყველა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მისი დასავლელი კოლეგა. ნაშრომში აშკარად ჩანს თანამედროვე რუსეთის ცალმხრივი შეფასების, ცხადია ნეგატიურის, მაგალითები, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან პატივცემული უმლანდი მიჰყვება იმ პროპაგანდისტულ გზას, რაც აშშ-ს და მისი ქვეშევრდომების, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებებმა დასახეს – რუსეთის არაობიექტური შეფასებით, საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის.

უმლანდი ვერაფრით შეძლებდა მდინარის საწინააღმდეგოდ ცურვას, ვინაიდან მიუხედავად დასავლური **"დემოკრატიისა",** ასეთს აითვალისწუნებენ ხოლმე და პრობლემებს შეუქმნიან. უმლანდისა და მისი დასავლელი კოლეგებისთვის გაცილებით იოლია, თანაც ხელისუფლებათა მხრიდან წახალისებული, რუსეთის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება. მათგან რა მიდის?! და ამით დაინტერესებული მკითხველისთვის თავგზის აბნევა.

უმლანდი, ცხადია, შედეგებზე მოგვითხრობს და, აქედან გამომდინარე, რაღაც გეგმებსაც გვისახავს, მაგრამ არაფერს ამბობს ამ შედეგების გამომწვევ მიზეზებზე. ერთ-ერთი და მე ვიტყოდი უმთავრესი არის ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, მიუხედავად არაერთი დაპირებისა, რომ ამას ადგილი არ ექნებოდა.

დაპირებები კი გორბაჩოვ-შევარდნაძის დროს გაიცა დასავლეთის მხრიდან, კერძოდ აშშ-ს, რასაც ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია ისე, როგორც გუშინდელი, თავხედურად უარყოფს.

დიპლომატიაში ხშირად გამოიყენება მხარეთა შორის სიტყვიერი შეთანხმება, რომელიც თაობიდან-თაობაზე გადადის და ისეთივე ძალა აქვს, როგორიც წერილობითს, თუმცა წერილობითი – დოკუმენტია, სიტყვიერს კი – საქმეში ვერ ჩააკერებ.

ის, რომ ასეთ სიტყვიერ შეთანხმებას ჰქონდა ადგილი, გასულ წელს, საიდუმლოების მოხსნის შემდეგ აეხადა ფარდა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამომზეურებული მასალებიდან ირკვევა, რომ აშშ-ს მაშინდელი ადმინისტრაცია და გერმანიის მთავრობა, გერმანიის გაერთიანებისთვის, ვალდებულებას იღებდნენ ნატოს აღმოსავლეთით არ გაფართოების თაობაზე.

არადა, გორბაჩოვ-შევარდნაძის გულუბრყვილობამ და დასავლეთისადმი ნდობამ გამოიწვია ყოველივე. დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში გაცილებით ნაკლებად იყო მოსალოდნელი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. დღეს რა გვაქვს?

რუსეთის საზღვრებზე მიბჯენილი ნატო და აშშ-ს სამხედრო კონტიგენტი – მძიმე საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი, სამხედრო წვრთნები და მუდმივი განცხადება რუსული აგრესიის შეკავებასთან დაკავშირებით. არ იქნებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და არ იქნებოდა ბელარუსში სამხედრო წვრთნები.

უმლანდი ზემომოყვანილ ფაქტს არ განიხილავს, მხოლოდ შედეგი გამოაქვს საჯაროდ, თან უსაფრთხოების საერთაშორისო სტრატეგიის ექვს მიმართულებას უსახავს უკრაინას, საქართველოს, მოლდოვას. უახლოეს წლების განმავლობაში (5-15 წელი) – **"რამდენ ხანსაც, რუსეთის ამჟამინდელი რეჟიმი იარსებებს".**

უმლანდის ნაღვაწი მნიშვნელოვანია თვალის გასახელად და შექმნილი ვითარებიდან შესაბამისი დასკვნების გამოსატანად. ავტორი პესიმისტურად არის განწყობილი, რაც გაზეთს უდავოდ არ უნდა აძლევდეს ნაშრომის ოპტიმისტური სათაურით – **"მხოლოდ ევროპისკენ, სხვა გზა არ გვაქვს"** – გამოქვეყნების საშუალებას.

მივყვეთ ნაშრომს: **"როგორც ჩანს, უკრაინის, საქართველოს და მოლდოვას უსაფრთხოების მდგომარეობა უახლოეს წლებში ისეთი სახით შენარჩუნდება, როგორიც დღესაა და შესაბამისად მათი საერთაშორისო სტატუსიც მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. ....**

**უკრაინასა და საქართველოში პოპულარულია ისეთი წარმოდგენები, რომ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით თუ იარაღის დახმარებით, შესაძლოა ისეთი ძლიერები გახდნენ, რომ კრიტიკულ სიტუაციაში მათ ექნებათ უნარი თავიდან აიცილონ ან მოიგერიონ რუსეთის მსხვილმასშტაბიანი შეტევა. ასეთი წარმოდგენები მხოლოდ სასურველის სინამდვილედ წარმოსახვის მცდელობაა".**

პოლიტოლოგის მოსაზრება რეალობას შეესაბამება და ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. რუსეთთან გამკლავებას არათუ უკრაინა-საქართველო ვერ შეძლებს, არამედ ნატოც. რუსეთში გატარებულმა სამხედრო რეფორმამ ძირფესვიანად შეცვალა ის, რაც იყო. ჯარი აღიჭურვა თანამედროვე იარაღით, რომელთაგან ზოგიერთს ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში.

რუსეთი მილიარდობით დოლარის სამხედრო იარაღს ჰყიდის მთელს მსოფლიოში, რითაც მან (სამხედრო იარაღის გაყიდვამ) ენერგომატარებლების ექსპორტს გაუსწრო და მეორე ადგილზე გადავიდა. პირველზე – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა. რაც არ უნდა გაიჭაჭოს საქართველო და დასავლური იარაღის შეძენაში მილიარდობით დოლარი ხარჯოს (რაც მას არ გააჩნია), ის ვერ გაუტოლდება რუსეთს – ბირთვული იარაღის მქონეს.

ასე, რომ სრულიად გაუმართლებლად მომეჩვენა ყოფილი თავდაცვის მინისტრის ხიდაშელის ძალისხმევა ფრანგული სარაკეტო სისტემის შეძენის თაობაზე. რუსეთთან და არა მარტო მასთან, ჩვენი მთავარი იარაღი დიპლომატიური მოლაპარაკება უნდა იყოს. მოსალაპარაკებელ მაგიდასთან მსხდომთათვის მთავარი ჭკუა-გონება, განსწავლულობაა და არა იარაღის ჟღარუნი.

რაც შეეხება საკუთარ ძალებში თვითდარწმუნებას – არახალია. განა 2008 წლის ომის წინ საქართველოს მედიასივრცეში გამოსული **"სამხედროები"** დაბეჯითებით არ აცხადებდნენ – როსტოვამდე ჩავალთო?

**"სამივე, ისეთი ქვეყნები არიან, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული რუსეთთან სამართლიანი და ყოვლისმომცველი ზავის დადებით, მაგრამ ეს ვერ დაეხმარება მათ მთავარი პრობლემის – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში. როგორც ჩანს, მოსკოვი დასავლეთს დათმობებს მოსთხოვს – მაგალითად, რომ საქართველოსა და უკრაინას დიდი ხნის განმავლობაში ნატოსა და ევროკავშირში ნუ მიიღებთო".**

შემდეგ ავტორი წერს, რომ ამგვარი შეთანხმებით რუსეთი ყირიმს არ დააბრუნებს და არც აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და დნესტრისპირეთთან არ შეწყვეტს მხარდაჭერას. რაც შეეხება დონბასს – სათანადო შეთანხმების მიხედვით, რუსეთი თავის სამხედრო ფორმირებებს და სამხედრო დაქირავებულებს გაიყვანს.

ვერ გავიზიარებ ავტორის ვარაუდს, ვინაიდან არ ეფუძნება რეალობას. ყირიმი რუსეთის ნაწილია – რუსეთის კანონებით და ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, რომლის დროს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ არა უკრაინასთან, არამედ რუსეთთან ყოფნა არჩია. დონბასში არავითარი რუსული სამხედრო ფორმირებები არ არის, რის შესახებაც ხმამაღლა ითქვა თვით დასავლელი პოლიტიკოსების მიერ.

რაც შეეხება სამხედრო დაქირავებულებს, სრული შესაძლებლობაა, რომ ისინი იქ იყვნენ, რაც არ არის გასაკვირი. თუ ამერიკელი და ნატოელი სამხედრო სპეციალისტები, აგრეთვე უცხოელი დაქირავებული მეომრები უხვად არიან უკრაინის მხარეს, გასაკვირი არ უნდა იყოს მათი ყოფნა, მითუმეტეს რუსების, დონბასელთა მხარეს.

**"ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმზე ხელმოწერისას, რომლითაც უკრაინა მიუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას, რუსეთმა ივალდებულა, რომ პატივს სცემდა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა მოგვიანებით საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო".**

რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯი უდავოდ მიუთითებს საერთაშორისო ხელშეკრულების უგულებელყოფას, თუმცა ის არ იყო რატიფიცირებული რუსეთის დუმის მიერ. გარდა ამისა, 2014 წელს უკრაინაში ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ძალისმიერ დამხობას, რომელსაც მოჰყვა ბანდერელი ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლა – შესაბამისი შედეგებით, უპირველეს ყოვლისა რუსული ენის აკრძალვის მუქარით და რუსული მოსახლეობის სრული დამორჩილების სურვილით, რამაც გამოიწვია დონეცკის რუსულენოვანი უმრავლესობის გამოსვლები, რომელიც გადაიზარდა სამოქალაქო ომში.

ოფიციალურმა კიევმა, დონბასის დათრგუნვის მიზნით, სამთავრობო ჯარი მიაყენა ამბოხებულ დონეცკსა და ლუგანსკს, საკუთარ ქვეყანაში ომი გააჩაღა ისე, როგორც 2008 წელს ოფიციალურმა თბილისმა ცხინვალში.

ფაშიზმის შიშმა გამოიწვია ის, რაც დონბასში მოხდა – ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით. არ ყოფილიყო არჩეული ხელისუფლების ძალისმიერი დამხობა და აღორძინებული ბანდერიზმის მიერ გამოცხადებული ომი დონეცკის და ლუგანსკის რუსი მოსახლეობის წინააღმდეგ და ისეთივე ვითარება იქნებოდა უკრაინაში, როგორც 2014 წლამდე.

ბანდერული ხელისუფლება უდავოდ გაატარებს სადამსჯელო ღონისძიებებს დონბასში, თუ ის მოახერხებს უკრაინის კანონმდებლობის აღდგენას ამ რეგიონში. ამ შემთხვევაში, რას მოიმოქმედებს დასავლეთი?

**"შეშფოთდება"** – ეს იქნება და ეს და არა სხვა რამ – მკაცრი და კარდინალური. რა მოიმოქმედა მან ოდესის პროფკავშირების სახლში ოდესელთა ცოცხლად გამოწვის შემდეგ?

50 უდანაშაულო ადამიანი შეეწირა ბარბაროსულ აქტს, რომელიც უკრაინელმა ფაშისტებმა განახორციელეს ოდესის რუსი მოსახლეობის მიმართ. დასავლეთს – გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სახით, რომლებმაც ხელი მოაწერეს იანუკოვიჩსა და ოპოზიციურ ძალებთან დადებულ შეთანხმებაზე, ხმა არ ამოუღიათ, როცა ხელმომწერმა ოპოზიციამ რამდენიმე საათში დაარღვია შეთანხმება და ძალისმიერი გზით დაიკავა პრეზიდენტის რეზიდენცია, სამინისტროები და უწყებები. ხელშეკრულების გაფორმება მორიგი დასავლური ფანდი იყო, რომელსაც იანუკოვიჩის ყურადღება უნდა მოედუნებინა. იანუკოვიჩმა იმარჯვა და დროულად დატოვა რეზიდენცია. რომ არა, დღეს ის ცოცხალი არ იქნებოდა.

**"კიევი და თბილისი მიიჩნევენ, რომ თავიანთი უსაფრთხოების პრობლემების მოგვარების წამალი მხოლოდ ნატოში გაწევრებაშია. ფაქტია, რომ ორი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ნატოში გაწევრებას. მათ განაცხადი 2008 წელს შეიტანეს, მაგრამ განცხადება უარყოფილ იქნა, თუმცა ნატო დაპირდა, რომ ისინი აუცილებლად გაწევრდებიან ნატოში.**

**პროუკრაინულად განწყობილი ნატო ისეთ ზეეროვნულ ორგანიზაციას არ წარმოადგენს, რომ უფლება ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების რომელიმე ქვეყნის გაწევრების თაობაზე. ალიანსის წევრებმა ერთად უნდა მიიღონ გაწევრების გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების შანსი ძალზე მცირეა ან სრულიად არ არსებობს.**

**ასეთი სიტუაცია იქნება მანამ, სანამ არ მოგვარდება კონფლიქტი ერთი მხრივ, კიევსა და თბილისს და მეორე მხრივ კი რუსეთს შორის."** – წერს ავტორი და კიდევ ერთხელ გვახსენებს ჩვენთვის, საქმეში ჩახედულთათვის იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც არც ხელისუფლება და არც ზოგიერთი პოლიტიკოს-პოლიტოლოგი არ იზიარებს. მათმა გაურკვეველმა ოპტიმიზმმა გამოათაყვანა ხალხი, რომელიც თურმე დიდი უმრავლესობით მხარს უჭერს იმას, რაც არასდროს არ იქნება ან თუ იქნება მრავალი წლის შემდეგ.

ეს სიმართლე, გერმანელმა პოლიტოლოგმა კი არ უნდა გვითხრას, არამედ ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა და მისმა ხელქვეითებმა, რომლებიც მუდამ გაიძახიან გამრუდებულ **"პლასტინკასავით"** ერთსადაიმავეს – ნატოს კარი ღიაა თქვენთვის და როდესაც საშინაო დავალებებს შეასრულებთ, უმალ გაწევრდებით ნატოშიო.

დავალებები კი ისეთია, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკების გარეშე. მოლაპარაკება კი ამ ხელისუფლებას არ უნდა, არც ე.წ. ექსპერტებს უნდათ ოკუპანტთან მოლაპარაკება, ვინაიდან თურმე მოლაპარაკება ჩვენთვის ფაქტობრივი ვითარების აღიარებას ნიშნავს. ამას აცხადებს პოლიტოლოგი საყვარელიძე. მას გართულება აქვს **"პატრიოტთა ალიანსის"** სახელთანაც, ვინაიდან პატრიოტი არადა არ უნდა წავიდეს მოსკოვში მოსალაპარაკებლად. პატრიოტი შინ უნდა იჯდეს, სანგრებში და იქიდან ტყორცნიდეს რუსეთს შეურაცხმყოფელ სიტყვებს.

როდესაც ასეთი ვაი-პატრიოტიზმი ზეიმობს, თან პროვინციული და უგონო, იქ საქმე არ გაკეთდება. და ვიქნებით მუდამ ნატო-ნატოს ძახილში, ვიდრე ეს ორგანიზაცია არ დაიშლება.

რაც შეეხება ევროკავშირს, მასში გაწევრიანება ავტორს შესაძლებლად მიაჩნია და თვლის, რომ ამის გაკეთება **"არცთუ შორეულ მომავალში განხორციელდება"**, მითუმეტეს სამივენი უკვე არიან ასოცირებული წევრები...

თუმცა **"რადგანაც ევროკავშირთან სრული ინტეგრირების პროცესს საკმაო ხანი დასჭირდება. იბადება კითხვა, რა მოხდება გარდამავალ პერიოდში?" – კითხვას სვამს ავტორი და შემდეგ თავის ვარიანტს გვთავაზობს: "ნატოს არაწევრი მნიშვნელოვანი მოკავშირის" სტატუსის შეძენას, რაც აშშ-ზეა დამოკიდებული, თუმცა ამ შემთხვევაში ის უკრაინას პრიორიტეტად მიიჩნევს, ვინაიდან მან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩააბარა ბირთვული იარაღი. მაშინ აშშ-მა და საფრანგეთმა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა ივალდებულეს. ბუდაპეშტის მემორანდუმის პირობები საქართველოზე არ ვრცელდება, შესაბამისად თბილისს ვაშინგტონისგან ზემონახსენები სტატუსის მიღება გაუჭირდება".**

ნაშრომის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ გაჟღერებული საკითხი ნაკლებად დამამშვიდებელია სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის და დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ ძვრებთან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობებიდან გამომდინარე. **"პავლეს მოსვლამდე, პეტრეს"** რომ თავპირი არ დაამტვრიონ, საჭიროა დასავლეთის მხრიდან კარდინალური ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის საქართველო-უკრაინისთვის მაღალტექნოლოგიური ლეტალური (სასიკვდილო) იარაღის მიწოდება და სხვა.

ისევ იარაღი, ისევ დაპირისპირება რუსეთთან, არადა ვერავითარი ლეტალური იარაღი ვერ უშველის რუსეთის შეტევას. ეს ფაქტია და ვერსად გავექცევით. პირიქით, ლეტალური იარაღი გააღიზიანებს რუსეთს, ხოლო რაც შეეხება უკრაინას, რომელიც დონბასის ომშია ჩართული, საკუთარ ძალებში თავდაჯერებას გამოიწვევს, რასაც უდავოდ მოჰყვება პასიური შეტაკებების გააქტიურება და ნამდვილ ომამდე მისვლა.

გერმანელი პოლიტოლოგის ნაშრომში ყველგან ხაზგასმითაა ნახსენები რუსეთი და მასთან ურთიერთობა, თუმცა ავტორი არ მოითხოვს არც ერთი ყოფილი საბჭოთა სამივე რესპუბლიკისგან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას რუსეთთან, რაც ჩემის აზრით შეგნებული **"შეცდომაა".**

ავტორმა კარგად იცის, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, ევროკავშირის მიერ **"აღმოსავლეთ პარტნიორობის"** წამოწყება, სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის სრულიად შეუფერებლად **"ევროკავშირის ასოცირებული წევრობის"** სტატუსის მირთმევა, **"სუამის"** შექმნა და სხვა პროგრამები გულისხმობენ ერთს – რუსეთის ნატოს რკალში მოქცევას, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე რუსეთის გავლენის შესუსტებას, რუსეთის დაძაბუნებას და საბოლოო ჯამში დაშლას.

რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იცის რას უმზადებს მას **აშშ**-ი და ევროკავშირ-ნატო. ამდენად სრულ მზადყოფნაშია და დღენიადაგ ხვეწს საკუთარ სამხედრო ძლიერებას.

გამალებული შეიარაღება, რასაც თანამედროვე მსოფლიოში აქვს ადგილი, კარგს არაფერს გვიქადის, ვინაიდან პატარა ნაპერწკალს შეიძლება მოჰყვეს დიდი ხანძარი, რომლის ჩაქრობა ბირთვული იარაღის პირობებში შეუძლებელი იქნება.

**ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲯᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**პოლიტოლოგი**

ილორი

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

მაგრამ მაშინ ერთი ინფორმატორი გადაურჩა დასჯას. ვინ? **ნიკოლოზ ივანეს ძე ეჟოვი!**

**რა თქმა უნდა, ამ რანგის ხელმძღვანელი ძნელად წარმოსადგენია უცხოეთის დაზვერვის აგენტის რანგში, იმ სახით, როგორც ამას წარმოგვიდგენენ დეტექტიურ ნაწარმოებებში: მიყურადებული მოსასმენი მოწყობილობით და შარვლის საიდუმლო ჯიბეში ჩადებული მინიატურული ბრაუნინგით.**

**ინფორმაციული შპიონაჟის მეთოდები განსხვავდებოდა მონაცემებით ვაჭრობის ადრეული სისტემისაგან, მაგრამ მისი მამოძრავებელი ძალა უცვლელი გახლდათ – ღალატი.**

აი, მცირე ფრაგმენტი ყოფილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის დაკითხვის ოქმიდან:

*27.04.39*
*№1268/6*
*სრულიად საიდუმლოდ*
*ამხანაგო სტალინ.*
*ამასთან გიგზავნით ეჟოვის დაკითხვის 1939 წლის 26 აპრილის დაკითხვის ოქმს.*

*დაკითხვა გრძელდება.*
*შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია*

*...*

*პასუხი: გერმანული დაზვერვის მიერ ჩემი გადაბირება მოხდა 1934 წელს, შემდეგ გარემოებებში: 1934 წლის ზაფხულში სამკურნალოდ გამგზავნეს სახღვარგარეთ, ქალაქ ვენაში, პროფესორ ნორდენთან.*

*შეკითხვა: ვინ არის ნორდენი?*

*პასუხი: ნორდენი ეროვნებით გერმანელია, თუმცა ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო ფრანკფურტიდან ვენაში გადასახლდა. იგი სამედიცინო სფეროს მსხვილი სპეციალისტია, უამრავი სანატორიუმის თანამფლობელია, არა მხოლოდ ავსტრიაში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.*

*ვენაში ნორდენთან სამკურნალოდ ჩადიან ავადმყოფები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის იყო საბჭოთა კავშირის უამრავი ხელმძღვანელი მუშაკი.*

*შეკითხვა: კონკრეტულად ვინ?*

*პასუხი: რამდენადაც ვიცი, ნორდენთან მკურნალობდნენ* ***ჩუბარი, გამარნიკი, იაკირი, ვეინგერგი, მეტალიკოვი****.*

*შეკითხვა: თქვენ ვინ გადაგიბირათ?*

*პასუხი: მე გადამიბირა დოქტორმა ენგლერომმა, რომელიც ნორდენის უფროსი ასისტენტი გახლდათ.*

*ვენაში ჩამოსვლის შემდეგ, 1934 წლის ივლისის მიწურულს, მე მომათავსეს შედარებით კომფორტულ კოტეჯ-სანატორიუმში.*

*ჩამოსვლიდან მესამე კვირას მე ინტიმური კავშირი დავამყარე მედიცინის დასთან, რომლის სახელიც არ მახსოვს. პირველ ღამეს ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, მაგრამ მერე ჩემთან ოთახში მოულოდნელად შემოვიდა დოქტორი ენგლერი და დამაფიქსირა არც თუ სასურველ პოზაში მედიცინის დასთან. მან სკანდალი ატეხა და იხმო უფროსი მედიცინის და, რომელიც კივილით გამოვარდა ოთახიდან. ენგლერი კი დამტვრეული რუსულით ცდილობდა ჩემთვის რადაცის ახსნას.*

*მან განმიცხადა: "ასეთი ამაზრზენი შემთხვევა ჩვენ ჯერ არ გვქონია სანატორიუმში. ეს ბორდელი არ არის, თქვენ კი არცხვენთ ჩვენი სანატორიუმის შეუბღალავ სახელს. მოგვიწევს თქვენი სანატორიუმიდან ამოწერა და თქვენს ხელისუფლებას ვაცნობებთ ამ საქციელის შესახებ. გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ეს სამარცხვინო ფაქტი პრესის ფურცლებზე არ მოხვდება".*

*მე ვემუდარებოდი ენგლერს არ გაეკეთებინა ეს და ფული შევთავაზე. ენგლერი უფრო გაწიწმატდა და დემონსტრაციულად წავიდა.*

*მეორე დღეს მე თავად ვეახლე ენგლერს, ბოდიში მოვუხადე უხეშობისათვის, ფულის შეთავაზებისათვის და ვაცნობე, რომ ყველაფრის მშვიდობიანად მოგვარება მსურს. მან ისეთი ტონით განმიცხადა, რომელიც კომპრომისს გამორიცხავს: "ან მომავალში გერმანელებთან ითანამშრომლებთ, ან ყველაფერს ნათელს მოვფენთ და სამუდამოდ გაგიტეხთ სახელს".*

*იგივე ენგლერმა მითხრა რომ ძალიან კარგად იცის ვინ ვარ მე, რას ვსაქმიანობ და რა მდგომარეობა მაქვს პარტიაში (მე მაშინ ვმუშაობდი სკკპ (ბ) ცეკას სამრეწველო განყოფილების გამგედ და პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ).*

*მე თავზარი დამეცა და მივხვდი, რომ მედიცინის და სპეციალურად იყო ჩემზე მოჩენილი და ვთხოვე ენგლერს, რომ მოსაფიქრებლად ჩემთვის დრო მოეცა. იგი დამთანხმდა.*

*შემდეგი შეხვედრისას კი ეჟოვი "ექიმის" ყველა შეთავაზებას უსიტყვოდ დათანხმდა.*

*შეკითხვა: გამოძიებას აინტერესებს თუ რა ჯაშუშური მასალები გადაეცით თქვენ ენგლერს?*

*პასუხი: იმის ფარგლებში, რაც მე ზეპირად მახსოვდა, მე მოვუთხრე ენგლერს საბჭოთა ჯარების შეიარაღების სავალალო მდგომარეობასა და ბრძოლისუნარიანობაზე, განსაკუთრებით გავუსვი რა ხაზი ჩვენი ჯარის სუსტ მხარეებს. ვუთხარი, რომ ჩვენი ჯარი ზოგადად ძალიან ჩამორჩება საარტილერიო დანადგარების აღჭურვის მხრივ და საარტილერიო აღჭურვის ხარისხითაც ძალზე ჩამოუვარდება კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს.*

*ვეხებოდი რა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ მდგომარეობას, მე მოვუთხრე ენგლერს საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში არსებული სიძნელეების თაობაზე და ინდუსტრიალიზაციის სფეროში გამეფებულ უთავბოლობაზე, განსაკუთრებით ახლადაშენებული საწარმოების ამოქმედების საქმეში. საილუსტრაციოდ მოვიყვანე სტალინგრადის ტრაქტორმშენებელი ქარხანა, სადაც მუშაობის დაწყებამდე გამოვიდა მწყობრიდან უამრავი ფასეული დანადგარები. აქვე ვეუბნებოდი ენგლერს, რომ საბჭოთა ინდუსტრიალიზაციაში მიღწეული წარმატებები ფრიად საეჭვოა.*

*მე ასევე მოვუთხრე ენგლერს იმ დისპროპორციებზე, რომელიც არსებობს საბჭოთა წარმოების სხვადასხვა მიმართულებებს შორის. განსაკუთრებით აღვნიშნე ჩამორჩენები ფერადი მეტალებისა და სპეციალური შენადნობების წარმოების საქმეში, რაც ამუხრუჭებს საბჭოთა ჯარის ბრძოლისუნარიანობის გაზრდის პროცესებს.*

*შეკითხვა: ჯაშუშური ხასიათის რომელი დავალება მიიღეთ ტაიცისაგან? (ენგლერის მეკავშირე, რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში – ავტორი).*

*პასუხი: პარტიული კონტროლის კომისიაში არსებობდა სამხედრო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნ. კუიბიშევი. ჯგუფის მუშაობა და მასალები მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და ჯგუფი მე მემორჩილებოდა. პარტიული კონტროლის კომიტეტის სამხედრო ჯგუფის მიერ მომზადებული ამა თუ იმ სამხედრო ნაწილის შემოწმების მასალები იგზავნებოდა მხოლოდ თავდაცვის კომიტეტში და ჩემთან. როგორც წესი, ეს საბუთები ხშირად სახლში მიმქონდა და მცირე ხნით მათ გადავცემდი ხოლმე ტაიცს, რომელსაც შემდეგ მიბრუნებდა. ვიცი, რომ ამ მასალებს ტაიცი ფოტოებს უღებდა და დანიშნულებისამებრ გადასცემდა.*

*შეკითხვა: იგი თავად გეუბნებოდათ ამის თაობაზე?*

*პასუხი: დიახ, ერთხელ მე დავინტერესდი, როგორ და რა გზებით გადასცემდა იგი ჩემს მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს. ტაიცმა მითხრა, რომ ფოტომასალებს იგი გადასცემს პიროვნებას, რომელიც მუშაობს გერმანიის საელჩოში, რომელიც მას შემდეგ უგზავნის გერმანიის დაზვერვას.*

*შეკითხვა: როგორ ახერხებდა იგი გერმანიის საელჩოში მოხვედრას?*

*პასუხი: გარდა თავისი უშუალო საქმიანობისა კრემლის სანიტარულ ნაწილში, ტაიცი მოსკოვში გერმანიის საელჩოს თანამშრომლებსაც ემსახურებოდა.*

*შეკითხვა: თქვენ გახსოვთ იმ ინფორმაციათა ხასიათი, რომელსაც ტაიცს გადასცემდით?*

*პასუხი: დიახ, მახსოვს!*

*შეკითხვა: დააკონკრეტეთ.*

*პასუხი: დოქტორ ტაიცთან ურთიერთობის მანძილზე მას გადავეცი ინფორმაციები ჩვენი ჯარის შეიარაღების, კვების პროდუქტებით მომარაგების, პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ინფორმაციებში დეტალურად იყო გაწერილი კონკრეტული სამხედრო ნაწილების ციფრებითა და ფაქტიური მონაცემებით დახასიათება, ჯარების სახეობა შეიარაღებისა და სამხედრო ოლქებში არსებული მდგომარეობა.*

*ამავე დროს მე ტაიცს გადავეცი ინფორმაციები შეიარაღების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, ახალი თვითმფრინავების გამოშვების საქმეში არსებულ პრობლემებზე, მათ ავარიულ მდგომარეობაზე, სამხედრო მფრინავების მომზადების გეგმები, ინფორმაცია ჩვენს მიერ გამოშვებული თვითმფრინავებისა და საავიაციო ძრავების რაოდენობასა და ხარისხზე.*

*გარდა ამისა, ტაიცის მეშვეობით მე გადავეცი გერმანიის დაზვერვას პარტიული კონტროლის კომიტეტში არსებული ინფორმაციები საბჭოთა ჯარების ტანკებით უზრუნველყოფის თაობაზე. მე გერმანელების ყურადღებას მივაქცევდი ჩვენი ჯავშნის არასახარბიელო მდგომარეობაზე და ტანკების აღჭურვაზე დიზელის ძრავებით, ნაცვლად მაშინ მიღებული საავიაციო ძრავებისა.*

*გარდა ამისა მე ტაიცს გადავეცი ინფორმაცია საბჭოთა ჯარების კვების პროდუქტებითა და ტანსაცმლით მომარაგების საქმეში არსებულ ხარვეზებზე. სხვათა შორის,* ***ამის თაობაზე სკკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომლის დადგენილებაც ასევე გადავეცი გერმანიის დაზვერვას.***

*ჩემს მიერ მიწოდებული მასალები ნათელ წარმოდგენას ქმნიდნენ სამხედრო ნაწილებში შექმნილ მდგომარეობაზე. გერმანელებისათვის ძნელი განსაჭვრეტი არ გახლდათ ის, რომ ომის დაწყების პირველ დღეებში საბჭოთა არმია სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებოდა.*

*ანალოგიური მასალები გადავეცი მე ტაიცს ქიმიური და ცეცხლსასროლი იარაღისა და წითელი არმიის საინჟინრო უზრუნველყოფის თაობაზე, გარდა ამისა, გადავეცი ცალკეული მასალები ლენინგრადის, ბელორუსიის, ვოლგისპირეთის და შუა აზიის სამხედრო ოლქებში არსებულ მორალურ-პოლიტიკურ ასპექტებზე, რომელიც მოკვლეული იყო პარტიული კონტროლის კომიტეტის მიერ.*

*შეკითხვა: რაში გამოიხატებოდა თქვენი შემდგომი თანამშრომლობა გერმანიის დაზვერვასთან?*

*პასუხი: 1936 წლის დასაწყისში, კრემლის სამედიცინო სამსახურის მოწვევით, რიგი პასუხისმგებელი მუშაკების კონსულტაციისათვის მოსკოვში, 15-20 დღით ჩამოვიდა ნორდენი.*

***დიდი რაოდენობის ხალხისაგან, ვინც კონსულტაციები გაიარა ნორდენთან, მე ზუსტად მახსოვს გამარნიკი, იაკირი, ჩუბარი, პეტროვსკი, კოსიორი, ვეინგერგი და მეტალიკოვი. მაშინ ნორდენმა მეც გამიწია კონსულტაცია.***

ესეც ასე, თქვენ კი ამტკიცებდით, რომ ეს ყველაფერი კარიკატურა გახლდათ, თითიდან გამოწოვილი ფაქტები, სამზარეულოს ჭორები.

რა თქმა უნდა, მკითხველებს შორის აუცილებლად აღმოჩნდებიან "ექსპერტები", რომლებიც ეჭვის ქვეშ დააყენებენ ეჟოვის ჩვენებების ჭეშმარიტებას: თითქოს და, ყველასათვის ნათელია, თუ რა გზებით მიიღებოდა მაშინ ამგვარი აღიარებები.

უმაღლესი პარტიული, საბჭოთა და სამხედრო მაღალჩინოსნების სტალინური სასამართლო პროცესები ფართოდ გააშუქეს როგორც სამამულო, ასევე საზღვარგარეთის ავტორიტეტულმა ისტორიკოსებმა და იურისტებმა. და რაც მთავარია, არც ერთ მათგანს არ ჰქონია პრეტენზია ომამდელი საგამოძიებო ორგანოების და სასამართლოს პროცესების ობიექტურობის თაობაზე. ჩვენ არ ვსაუბრობთ ადგილობრივი "სამეულების" თავგასულობაზე.

*"დასავლეთი ყურადღებით ადევნებს თვალს საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებს, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესებს. იცოდნენ რა, რომ ეჭვმიტანილები თავს ვერ დააღწევდნენ დამსახურებულ სასჯელს და ამის გამო ისინი იძულებული გახდებიან დაარღვიონ გაუთქმელობის ფიცი, დასავლეთის მმართველი ძალები ცდილობდნენ ზოგიერთი მათგანისათვის დახმარების აღმოჩენას. ვერ ვიტყვით, რომ ისინი სამართალში მიცემულთა ბედით იყვნენ დაინტერესებულები, მაგრამ მათ აკრთობდათ ეჭვმიტანილთა საჯარო აღიარებები მსოფლიო საზოგადოების წინაშე, სადაც დასავლეთი არც თუ ლამაზ ფერებში იქნებოდა წარმოდგენილი. ეს საშინელება გახლდათ დასავლეთის მმართველი წრეებისათვის. მოსკოვში გაგზავნილი იქნა ლიონ ფოიხტვანგერი – არა მხოლოდ როგორც გამოჩენილი მწერალი და გერმანიის ებრაელთა წარმომადგენელი, არამედ როგორც ებრაელური მასონური ლოჟის "ბნაი-ბრიტის" გავლენიანი წარმომადგენელი. სინამდვილეში კი მისი ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ წიგნი "მოსკოვი. 1937 წელი. ჩემი მეგობრების ვიზიტის შედეგები", რომლის მთელი შინაარსი ადასტურებდა სტალინის მიერ მიღებული ზომების ობიექტურობას" (ა. მარტიროსიანი).*

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**
**(გაგრძელება იქნება)**

# “ᲛᲝᲘᲖᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲚᲘ”

***“ფაროსანა გამოსაზამთრებლად საცხოვრებელ სახლებსა და დახურულ შენობებში ინაცვლებს და მოზამთრე ფაზასთან ბრძოლა სწორედ თავშესაფარი ადგილებიდან უნდა დაიწყოს”***

სურსათი და გარემო – აზიურ ფაროსანას სწორედ ეს ორი ფაქტორი იზიდავს. მავნებელს წვნიანი ნაყოფის მქონე მცენარეები მოსწონს, მათ შორის, ატამი, წიწაკა, ციტრუსი, კიტრი, პომიდორი, მზესუმზირა, ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ყურძენი. ამჯერად, როგორც ფერმერების, ისე სურსათის უვნებლობის სამსახურის ყურადღება ციტრუსის კულტურაზეა კონცენტრირებული, რადგან აჭარასა და გურიაში მოსავლის ასაღებად ემზადებიან.

აზიური ფაროსანა გაზაფხულზე – აპრილის მიწურულსა და მაისის დამდეგს სახლდება მცენარეზე და მავნებლობას გვიან შემოდგომამდე აგრძელებს. ფაროსანა ხორთუმით ხვრეტს ნაყოფს, ათხელებს შიგთავსს და წარმოქმნის კორპისებრ ლპობად ლაქებს. დაზიანებული ხეხილის ნაყოფი დეფორმირდება, დაზიანების ადგილებში ვითარდება ყავისფერი ლაქები და ხილი საკვებად გამოუსადეგარი ხდება. მავნებელი გამოსაზამთრებლად შედის საცხოვრებელ სახლებში, ფარეხებში, ცხოველთა სადგომებში, ფარდულებში; ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარისა და ფანჯრის ღრიჭოებში, ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღუროებში. როგორ უნდა ვებრძოლოთ მავნებელს სახლის პირობებში და რა პრევენციულ ღონისძიებებს მიმართავს სახელმწიფო, რომ ფერმერებს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეთ. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე ზურაბ ლიპარტია აცხადებს:

– აზიური ფაროსანა ციტრუსს მინიმალურ საფრთხეს უქმნის, თანაც ამ პერიოდში მავნებელს უკვე დასრულებული აქვს კვება და ის მხოლოდ ერთეული სახით გვხვდება. მართალია, ციტრუსის კულტურაშიც დაფიქსირდა ფაროსანა, თუმცა, არა იმ რაოდენობით, როგორც სხვა მცენარეებში. სახელმწიფო აქტიურად აგრძელებს როგორც მავნებელთან ბრძოლას, ისე პროცესში მოსახლეობის ჩართვას. კერძოდ, თითოეულ ფერმერს ერთი ლიტრი ფერომონი და მისი გამოყენების დეტალური ინსტრუქცია დაურიგდა – ერთი ლიტრი ფერომონი საკმარისია 2 ჰექტრის შესაწამლად. საერთოდ, ფაროსანასთან ბრძოლაში მოსახლეობის ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს – თუ აშშ-ში მავნებლისგან მიყენებული ზარალი 5%-მდეა დასული, ეს სწორედ იმის შედეგია, რომ ფერმერები მავნებელს სახელმწიფოსთან ერთად ებრძვიან. ფერმერზე უკეთ არავინ იცის, რა ღონისძიებებია აუცილებელი მის საკარმიდამო სივრცესა თუ ბაღებში. სახელმწიფო კი შხამქიმიკატებითა თუ რჩევებით ეხმარება.

**– აჭარასა და გურიაში ციტრუსის დასაკრეფად ემზადებიან. ფერმერების ნაწილი აცხადებს, რომ მოსავლის დიდი ნაწილი მავნებელმა მნიშვნელოვნად დააზიანა.**

– თუ ციტრუსის მოსავალი წელს მცირეა და ნაყოფი ცვივა, ეს ფაროსანას არ უნდა დავაბრალოთ, ისევე როგორც თხილის მოსავლის მხოლოდ 10% დააზიანა ამ მავნებელმა. ციტრუსის მოსავლის პრობლემა წელს გვალვა იყო, მოგეხსენებათ, ნალექი თვეების განმავლობაში არ მოსულა, რაც აისახა ნაყოფზეც. ეს მოსახლეობამ კარგად იცის, მათთან ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს, საქართველოს მასშტაბით დარიგებულია 230 ათასი ბუკლეტი, სადაც აღწერილია როგორც მავნებლის თვისებები, ისე მასთან ბრძოლის მექანიზმები.

**– ფერმერების ნაწილი ჩივის, რომ შხამქიმიკატი, მართალია, ანადგურებს ფაროსანას, თუმცა, მცენარესაც ახმობს.**

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს აბსოლუტურად მცდარი მოსაზრებაა. პრეპარატი მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზეა დარეგისტრირებული, მის შემადგენლობაში ბოლო შესწორება 2012 წელს შევიდა და 2030 წლამდე მოხმარებისთვის ვარგისიანადაა მიჩნეული. მას იყენებენ როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში, თუმცა, არც ერთ ფერმერს არ დაუჩივლია, რომ ქიმიკატის გამოყენების შემდეგ მცენარე გახმა. პირიქით, ფერომონი ბოსტნეულის შესაწამლადაც რეკომენდებულია და თუ, მაგალითად, ბადრიჯანს ან პომიდორს არ აზიანებს, როგორ შეიძლება ციტრუსის ხე გაახმოს? მეტიც, წყალში შეუზავებელი ფერომონიც კი არ არის დამაზიანებელი მცენარისთვის, ის მხოლოდ მავნებელს ანადგურებს. როგორც გითხარით, 230 ათას მოქალაქეს დეტალურად აღვუწერეთ ქიმიკატის გამოყენების წესები, ამჯერად ინფორმირებული ფერმერების აქტიურობის დროა.

**– როგორ ვებრძოლოთ ფაროსანას სახლის პირობებში?**

– მავნებელი გამოსაზამთრებლად საცხოვრებელ სახლებსა და დახურულ შენობებში ინაცვლებს და მოზამთრე ფაზასთან ბრძოლა სწორედ თავშესაფარი ადგილებიდან უნდა დაიწყოს. სახლის პირობებში ფაროსანასთან ფერომონით ბრძოლა ჯანმრთელობისთვის საზიანოა. მსოფლიოს ექსპერტების რეკომენდაციით, არსებობს მავნებელთან ბრძოლის მექანიკური მეთოდები, რომლებსაც მოსახლეობა იყენებს აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. მაგალითად, მზადდება მარტივი კონსტრუქციის მუყაოს ან სხვა მასალის თავშესაფარი, რომელშიც მჭიდროდ თავსდება კვერცხის ჩასაწყობი მუყაოს ფირფიტები ან მსგავსი მასალა. გამოსაზამთრებლად დაძრული ფაროსანების მოსაზიდად თავშესაფრებს სახლების მახლობლად ათავსებენ. ამ გზით აგროვებენ მავნებელს და ანადგურებენ ფაროსანას. სახლის პირობებში ფაროსანასთან ბრძოლის ერთი კარგი საშუალება მტვერსასრუტით მისი შეგროვება და განადგურებაა. კიდევ ერთი რეკომენდაცია: აზიური ფაროსანას გასანადგურებლად ეფექტიანია ე.წ. მოიზიდე და მოკალის მეთოდი. ინსექტიციდით გაჟღენთილი ბადე თავსდება ნაკვეთის პერიმეტრზე, სადაც მავნებლის მოსაზიდად მაგრდება 2-3 ერთეული ფერომონი. ბადესთან კონტაქტის შედეგად ფაროსანა კვდება. გარდა ამისა, ვეგეტაციის პერიოდში ბაღის კიდეზე არსებულ მცენარეზე 5 ან მეტი ფერომონი თავსდება და ტარდება ყოველკვირეული წამლობა ინსექტიციდებით. ვიმეორებ, მთავარია, მოსახლეობამ არ დაიზაროს ფაროსანასთან ბრძოლა, რადგან ერთი ინდივიდის განადგურება ნიშნავს მომავალი სეზონისთვის 200-მდე ახალი მწერის მოსპობას. გარე ტერიტორიებზე, ჭალებში, ჯაგებსა თუ ტყის პირებში, სადაც მავნებლის კონცენტრაცია ხდება, უკვე სახელმწიფო მოქმედებს და მომავალშიც გააგრძელებს ბრძოლას მავნებელთან. სიმინდის მოსავლის გადასარჩენად ყველა სპეციფიკური ტექნიკა გამოვიყენეთ, მათ შორის, ავიაციაც, იმავე ზომებს მივმართავთ ყველა ტერიტორიაზე, სადაც ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა გვექნება. ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟებულია ფაროსანას მოსაზიდი 21 ათასი ხაფანგი, აქედან 11 თბილისის ლოკაციაზეა განთავსებული.

**ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ**

სტატია მომზადდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), FERRERO-sa და CNFA-ს **“საქართველოს თხილის სექტორის განვითარების პროექტის”** მხარდაჭერით.

## ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲒᲐᲜ

*მავნებელი მწერების საწინააღმდეგოდ შესანიშნავი საშუალებები არსებობს. ისინი შეგვიძლია გამოვიყენოთ აზიური ფაროსანას წინააღმდეგაც.*

*1. 400 გრამი თამბაქოს ნარჩენები (მტვერი) ჩავყაროთ ჭურჭელში და დავასხათ 10 ლიტრი წყალი. გავაჩეროთ ორი დღეღამე, შემდეგ გადავწუროთ და სითხეს კვლავ 10 ლიტრი წყალი დავუმატოთ.*

*მიღებულ სამუშაო ხსნარს ყოველ 10 ლიტრზე 40 გრამი სარეცხის საპონი ემატება. აუცილებელია, რომ ის ბოლომდე იყოს გახსნილი. ამიტომ საპონი დათალეთ თხლად ან გახეხეთ. შეიძლება მისი ცალკე შემთბარ წყალში გახსნა და გაზავებაც.*

*მიღებული სამუშაო ხსნარი შეგიძლიათ შეასხუროთ მცენარეებს სასხურებელი აპარატით.*

*შენიშვნა: თუ ორჯერ გაზავებულმა ხსნარმა არ იმოქმედა, შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ გადაწურული 10 ლიტრი სითხე, მეორე 10 ლიტრის დაუმატებლად.*

*2. თამბაქოს ნარჩენები (მტვერი) შეიძლება დავყაროთ ძველ ტაფაზე ან ლითონის ჭურჭელზე და ცეცხლი მოვუკიდოთ. რაც მეტხანს იხრჩოლებს კვამლი, მით უკეთეს შედეგს მივიღებთ. ოღონდ ყურადღება მიაქციეთ ქარის მიმართულებას, რათა ცეცხლი ისეთ ადგილას დაანთოთ, რომ კვამლი საჭირო ტერიტორიას მოეფინოს.*

*3. შეიძლება თამბაქოს მტვრის შეფრქვევა, ოღონდ ჯერ ძალიან წვრილად უნდა დაიფქვას. გამოდგება გოგირდის შესაფრქვევი აპარატი.*

*არსებობს სხვა მცენარეებიც, რომლებიც გამოდგება მავნებელი მწერების წინააღმდეგ: ხახვის მშრალი კანი, ნივრის ბოლქვები, მდგოვი, პირშუშხა, ლენცოფა, ლემა, ძაღლყურძენა, პომიდვრის ანასხლავი, კარტოფილის მიწისზედა ნაწილი, ცხარე წიწაკა, აბზინდა, ფარსმანდუკი.*

***P.S.*** ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲖᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲠᲝᲡᲐᲜᲐᲡ ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ. ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲖᲘᲣᲠ ᲤᲐᲠᲝᲡᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲠᲗᲕᲔᲑᲐ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, ᲛᲐᲕᲜᲔ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც აზიურ ფაროსანას ბიოლოგიური მტრის შესაძლო შემოყვანის საკითხი უნდა გამოიკვლიოს, ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილება გაიზიაროს და საქართველოს პირობებს მოარგოს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ანასეულში, ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრში დაიგეგმა ბიოლოგიური ლაბორატორიის მოწყობა, სადაც მეცნიერები აღნიშნულ საკითხებზე იმუშავებენ.

სამუშაო-საკონსულტაციო ჯგუფში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპეციალისტები არიან გაერთიანებული და მას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, ლევან უჯმაჯურიძე ხელმძღვანელობს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გურამ ალექსიძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, ლევან უჯმაჯურიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, ზურაბ ლიპარტია და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

*პოსტსაარჩევნო პარალელები*

### ᲒᲐᲜᲐᲬᲔᲡᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲔᲠᲡ!

არა, არა მწამს დიდად მე სხვისა,
როცა ფინტები მახსოვს მესხისა,
მაგრამ „მილანელს“, მზრუნველს კალაზე,
იმედით ვხვდები კახი კალაძეს
და მას (არც პელეს, არც გაეტანოს!)
ვთხოვ, ავტოგოლი არ გაეტანოს,
რადგან ფეხბურთი სადღაც მერეა,
როცა მთავარი არის მერია!

### ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲐ? ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲐ?

ფიქრი, რომელიც დაბადა დეპუტატის
სატელევიზიო სკანდალმა
იყო გავროში ცალი კალოშით
და ვინც ჩააგდო ქერის ხაროში,
მასზე ლაყბობას მოჰყვა არევა
და ნეპოტიზმის აღიარება!
მერე რა, დღეს თუ თვალზე ბისტი აქვს,
დეპუტატია, იურისტია!

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ**

*გრაკლიანის წარწერად წოდებული,*
*ათასწლეულთა მიღმიერიდან გზავნილი,*
*რომელმაც ეჭვს გარეშე დააყენა ქართული ანბანის პირველადობა, ბ-მა კუკური ფიფიამ ასე ამოიკითხა: ”ქიანა მიყორც!” რაც ახალ იბერიულ ენაზე, ქართულზე იგივეა, რაც*

### ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ!

ჩამესმა:
წერე... იბადება ახალი ლექსი!
აღარ გვსმენია ხმა მამისა ძალიან დიდხანს,
გადაივიწყე ყველა თქმული, რეტრო და მიქსი,
რითმები ძებნე გზავნილისთვის –
ქვეყანა მიყვარს!
მოგეხმარები:
მიყვარს – ცის კარს – იმ ხარს და – ჭიშკარს
მეტი არ გინდა, გრძელი სიტყვა
მოკლედაც ითქმის,
ამ წარწერაში თავად ღმერთი გაცხადდა
სიტყვით.
ოღონდ იგრძენი, ხელისგულზე მთელი
ცა გიძევს.
კარგი, დამშვიდდი, დამშვიდდი და ასე
დაიწყე:
დაიჩურჩულა ღმერთმა ჟამის
უგზოობიდან,
თითქოს ანჯამა შეუთრთოლდა
დაგმანულ ჭიშკარს:
“მომეყრდენ მკერდზე, გამოფხიზლდი
ძილში კრთომიდან,
ქვეყანა მიყვარს სანატრელო,
ქვეყანა მიყვარს!”
გიჟი მოზვერი გამიზრდიხარ
ქედმაგარ ხარად:
ახლა მკასა და ლეწვას ვიწყებ,
დავკარგავ იმ ხარს?
უდაბნოს ხვატში გაგიწვიმე
სულის მანანად;
”ქვეყანა მიყვარს!” ეგ წამხდარი
ქვეყანაც მიყვარს!
დიდი ხანია, მიმეფარე თვალთაგან
შვილი,
ა, ეს სიტყვები გაგიღებენ
ხელახლა ცის კარს.
დაბრუნდი!
სული დაიმშვიდე ქარში შეშლილი,
შენ რომ მიყვარხარ, ეგ ქვეყანაც
იმიტომ მიყვარს!
აქ ისევ ის ხმა აჩურჩულდა, როს ცა
ჩაჩუმდა:
– ახლა სხვა რითმა მიაშველე,
დამთვრალი ბანგით,
იგრძენი, როგორ აჟრჟოლებს-თქო
მთებს იქით რიონს,
ასე უფალი ჩურჩულებდა
იბერის ბაგით:
ქიანა მიყორც! მიყორც! მიყორც!
ქიანა მიყორც!

**ᲔᲚᲓᲘᲜᲝ ᲫᲐᲒᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲡᲐᲦᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ**

ილორი
ეროვნული ოპოზიცია

# ქაჯების საზეიმო შეყრილობის მცდელობა

ქაჯთა მბრძანებლის ფართო მოსაცდელში გნიასია. ქუხს, ხმაურობს და როკავს ეშმაკ-ქაჯთა ბოროტების ბუდე. მორიგ შეყრილობაზე მხიარულად ცხადდებიან, რამეთუ სიკეთეზე შეტევის წარმატებაში დარწმუნებულები ერთობიან სანამ მთავარი ქაჯი ადუღებულ კუპრში ბანაობას დაამთავრებს.

ბოლავს მიწისპირი. გოგირდის მყრალი კვამლი აქა-იქ აშფოთებს ადამიანებს. კარგად იციან, რომ ქვესკნელის ქაჯთა გააქტიურება ზესკნელის ქაჯებს ძალას შემატებს და ყველგან მათი როკვა დაიწყება, თუმცა ამ ბოლო დროს ისედაც გვარიანად წამლავენ ადამის მოდგმას.

მდუღარე კუპრის ტბორიდან ამოვიდა, ბალანი შეიბერტყა და გარეთ შეყრილ ეშმაკთა შემოსვლა ბრძანა. გოგირდის ორთქლით აქოთებული ბუნაგი უამრავი წვრილ-მსხვილი ეშმაკებით გაივსო.

ბელზებელი მაღალი ლოდის ქიმზე მოეწყო. ირგვლივ ღვაწლმოსილი ბებერი ქაჯები შემოუსხდნენ, დიდი დამსახურების ნიშნად მკერდზე დაკიდებული ადამიანის თავის ქალით და ხელში ბარძაყის ძვლის კვერთხით.

– ჩვენი მოვალეობაა ადამიანთა მოდგმის საჩვენოდ გადაჯიშება. ამას ვჭყივივარ იმიტომ, რომ ადამიანი ქაჯად ვერ იქცევა, მაგრამ სიცოცხლის ისეთი ქაჯური ბოროტებით მოწამვლა შეუძლია, რომ ქაჯები გაკვირდებიან. ბოლოს კი თავისი ჯიშის და ჯილაგის მოღალატე ყველას სძულს, რადგან ბოროტების და სიძულვილის მსახურთ არავისი ერთგულება არ შეუძლიათ. თუ ადამიანს მოხვეჭის გაუმაძღრობა შეეყარა, თავისუფალია ადამიანობისაგან, ის ეშმაკეთის მსახურია, რადგან გაუმაძღრობაშეყრილი სიკეთის გზაზე ვეღარ შედგება, ფულის მონაა და ყველაწმინდას გაწირავს, ოღონდ ფულზე მბრძანებლობა შეინარჩუნოს. ეს სამყარო ბოროტების ბრძოლაა სიკეთესთან. ჩვენი მოვალეობაა ბოროტების შხამით სიკეთის სიტკბოს ჩამწარება, – ბელზებელმა სული მოითქვა და გააგრძელა: – ხალხი ადამიანებისგან შედგება, რომლებიც ხან ფარაა და ხან ნახირი, ხან კი ბრმა განუკითხაობით გამძვინვარებულთა ხროვაა.

ადამიანების ჯგუფი, რომელიც ბოროტი განზრახვით ადამიანთა ჭირად ქცეულა, ყოველგვარ ხროვაზე დაუნდობელია და ბანდა ჰქვია. ჩვენ სწორედ ამგვარი ბანდები გვჭირდება. ეს შეკრება ამ საკითხს უნდა მივუძღვნათ, – ბრძანა და ბრჭყალით დინგი მოიფხანა.

– ამიიერიდან ჩვენი შეკრებები მუდამ საზეიმო და წარმატებული იქნება, – აჭყივლდა მეტიჩარა, გაქუცული ბებერი ეშმაკი – ჩმახი, უხსოვარ დროიდან ქართველთა გადაგვარება-გადაჯიშება რომ ევალებოდა.

– რა გაქვს საზეიმო, ჩმახო? – ეშმაკური ღრეჭით ჰკითხა ბელზებელმა.

– ბოროტებას, ეშმაკ-ქაჯობას, უსირცხვილობას, სექსუალურ გარყვნილება-სიბილწეს, რასაც მე ვქადაგებ, შენს გასახარად არასდროს არ ჰქონია ისეთი წარმატება, რასაც ამ ბოლო დროს მე მივაღწიე, – თქვა და ბელზებელის საამებლად დაიღრიჭა.

– შენი ყველა წარმატების და ჩასვრის მოწმე ვარ. კუდამოძუებულიც მინახიხარ, საქართველოდან გამოპანღურებული იქით გახედვას რომ ვეღარ ბედავდი და მეხვეწებოდი, სადმე პაპუასებთან გამიშვიო, გახსოვს? – ნიშნის მოგებით უთხრა.

– მახსოვს, როგორ არა, სწორედ ამიტომ დავამსგავსე ეგენი პაპუასებს. საქართველოში ახლა შენი იდეების ზეობაა. მეც, როგორც რიგითი ქურუმი, დამოძღვრას არ ვაკლებ და შედეგად ჩემი ეშმაკეულნი უწმინდეს და უნეტარეს პატრიარქს ლანძღავენ. უღმერთოები ქაჯების სამსახურად მოვაქციე და მალე აქ ადუღებულ კუპრში ჩვენი ბალნის ტილებთან ერთად იფართხალებენ.

– ახლა მოგვიყევი, ქართველთა გადაჯიშება როგორ მოახერხე, რომ ამ ყეყეჩმა, რქამოტეხილმა ბეჩავმა რუსეთის ქაჯმაც გაატოკოს ცარიელი თავი, თორე რუსეთმა შეიძლება, სულ გაგვიქარბუქოს უკვე მიღწეული ქაჯთა დიდი აღზევება, – ბელზებელმა რუსეთის ეშმაკს ბრჭყალი დაუქნია.

– ხომ იცი, უუწმინდურესო, გარყვნილო და გათახსირებულო ჩვენო მბრძანებელო, ქაჯეთში ტრაბახით ვერავინ მჯობია, მაგრამ ქართველთა გადაჯიშებას მაინც ვერ დავიბრალებ. რაოდენობით მცირე, მაგრამ შემოქმედებითი და ადამიანური სიწმინდეების საძირკველში შეურყევლობისთვის ჩადებული წვლილით დიდი და მძლავრი ერია. მათი მოსპობა უფრო შეიძლება, ვიდრე ერთხელ არჩეულ უწმინდეს ხსოვნას და ტრადიციებს უღალატონ, – ჩმახს ხმაში ბრაზი შეეპარა.

– აბა, რა თავბრუ დაგვახვიე ფუჭი ბაქიბუქით! – იჭყივლა ბელზებელმა.

– ტრაბახი არა, საამაყო კი ნამდვილად მაქვს. როგორ ფიქრობ, უუწმინდურესო მბრძანებელო, ქართველების ასე დაბეჩავებას და მთელი საქართველოს გაუბედურების გზას შეყენებას ეშმაკეული ჭკუის მოქნილი მოხმარება არ უნდოდა? – ჩმახი ცოტა ხანს გაჩუმდა.

მუდამ ხმაურიანი საქაჯეთი დადუმდა. ყველა ჩმახს მიაჩერდა. ხმა ისევ ბელზებელმა ამოიღო: – კარგი, ქართველების დაბეჩავებაზე მოგვიყევი, – შემრიგებლური ტონით უთხრა.

– შენ კარგად იცი, ქართველების მოსპობას წინ აღარაფერი რომ ეღობებოდა უფალმა მაგათი გმირი მეფის – ერეკლე მეორის მცდელობით რუსეთი მოუვლინა მხსნელად და გადამრჩენად. სანამ მასთან მეგობრობდნენ, ქართველები ისე მომრავლდნენ და გაძლიერდნენ, რომ ყველგან გააქრეს ჩემი ხსენება. მეც ქაჯეთის ნაპრალში ვაფარებდი თავს. გარეთ გამოსვლაც კი მეშინოდა, რომ რუსეთის რიჟა ეშმაკისავით არ მოვესრიალებინეთ და მაჯები არ შემოემტვრიათ.

როგორც კი ნაპრალიდან გამოსვლის საშუალება მომეცა, ერთვნული მოძრაობის ნიღბით საქართველოში უმადურობის შხამის გაშლა დავიწყე და ვეცადე ქართველებს თავისი ერთგული მეგობარი და მხსნელი, რუსეთი, შეეძულებინათ. ქართველებს რუსეთი ვერ შევაძულე, მაგრამ ხელისუფლებაში სწორედ ჩემი ჭკუით მოწამლული ფულის მონების გაყვანა შევძელი, – ჩმახი ცოტა ხანს გაჩერდა, სულ თავის თავზე დაბრალება ძვირად რომ არ დასჯდომოდა, დაუმატა: – ამ საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანეს ახმახმა და ჩახმახმა. მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში სულ ჩემი, ახმახისა და ჩახმახის ერთგული ეშმაკეულნი მბრძანებლობენ და რუსეთის გინებით საქართველოს და მთელს ქართველ ხალხს აქეთ, ქაჯური გარყვნილება-მოსპობისაკენ ექაჩებიან. ამაში დიდი წვლილი შეაქვთ ახმახის და ჩახმახის მსახურ უამრავ პარტიად წოდებულ ბანდებს და ევროპაში ტვინგალაყებულ არასამთავრობოდ წოდებულ აბდა-უბდა, ყბედ, დემაგოგ ახალგაზრდების ხროვას. მართვის ყოველგვარი აღვირი ჩემს ეშმაკეულთა ხელშია და დღემდე წარმატებით აბითურებენ ხალხს. უგარყვნილესო და უუწმინდურესო მბრძანებელო, მას შემდეგ, რაც ქართველების ეშმაკ-ქაჯურ გზაზე დასაყენებლად მათთან ვტრიალებ და ყოველგვარ სიკეთეს ბოროტებით ვწამლავ, ბევრმა წყალმა ჩაიარა. რამდენჯერ ისეთი მოსპობა-გადაგვარების ბოროტი ცეცხლი შევუნთე, არაფრით არ მეგონა, მაგათი სასიკეთოდ მობრუნება, მაგრამ ყოველთვის ფეხზე დგებოდნენ და ახალი ძალით აქრობდნენ ყოველივე ეშმაკ-ქაჯურს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოში გარყვნილება, გადაგვარება, მოსპობის ბორბალი ბრუნავს და ყოველგვარი სიკეთის ხსენებას აქრობს, ჩვენ გამარჯვებასაც ხელს აღარაფერი უშლის, ამხელა გამოცდილების მქონე ქაჯს მაინც შიშის ჭია არ მასვენებს. ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე საცხოვრებლად რჩეული ხალხია და უფალი სწორედ მაშინ ეხმარება, როცა ყოფნა-არყოფნის უბედურებას ხელს აღარაფერი უშლის. გვედრები, უუწმინდურესო გარყვნილებავ, უფალი დაგვხსენი და ქართველთა სახსენებელს გავაქრობ, ისეთ მოსპობის ბილიკზე მყავს შეყენებული მათი ამქვეყნიურობა, – ჩმახი წლების სიმრავლით დახავსებულ რქებს ბრჭყალებით მოეჭიდა და მის წინაშე კისერი მოიდრიკა.

– შენ რა გინდა, უფალს ბოროტების მფარველობა ვთხოვო და სიკეთეზე ხელი ავაღებინო?! – შე თავქარიანო, ბებერო პატიოსნებავ, ვეღარ გაიგე, რომ მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე უფალი ცდილობს, გაგვაკეთილშობილოს და სიკეთის გზაზე დაგვაყენოს, მაშინ მის მიერ შექმნილი სამყარო ერთიან სამოთხედ გადაიქცეოდა. თითის გატოკებით შეუძლია ჩვენი მოსპობა, მაგრამ სიკეთის, სიყვარულის, ცოდვების შენდობის დიდსულოვან მსახურს ამის გაკეთება არ სურს; ჩვენც სწორედ ამ დიდი მოთმინებით ვსარგებლობთ და ვამწარებთ მის მიერ სიკეთედ, ბედნიერებად და სიყვარულად შექმნილ მსოფლიოს. შენ კი გინდა, რომ მის მოთმინების ფიალას ამგვარი თავხედური თხოვნით ბოლო წვეთი მივმატო და საქაჯეთის არსებობა გავაქრობინო?! – აჭყივლდა ბელზებელი.

საზეიმოდ გამიზნული ქაჯთა შეყრილობა მოწმენდილზე მეხის გავარდნის მოლოდინს დაემსგავსა. ეგონათ, რომ სამყაროს გამგებლები ქაჯები იყვნენ. ნახეთ, რა შესძლებია უფალს!

– უფალი ჩემსავით ბოროტების მსახური რომ იყოს, ქაჯების ხსენებას გააქრობდა. ამიტომ სიფხიზლეა საჭირო, ყოველივე ეშმაკეული ხალხისთვის სიკეთის და ბედნიერების მოტანის სურვილით უნდა შევნიღბოთ, – ბელზებელს დამოძღვრა ისევ მეტიჩარა ჩმახმა შეაწყვეტინა:

– მეც სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი, ასე დაუმსახურებლად რომ გამოვლანძღე პატიოსნების დაბრალებით.

– ჩამოფქვი, რისი თქმა გინდოდა, – მეტიჩარა ჩმახი აღარ დატუქსა.

– რაც ქაჯურ ბოროტებას ვანთხევ და გარყვნილებას ვამრავლებ, ხალხის საკეთილდღეოდ დემოკრატიის სახელით ვნიღბავ.

– შენ რას ნიღბავ, შე ტრაბახა პატიოსანო! – ფეხზე წამოხტა მაღალი, უშველებელღონჯებიანი, გრძელთათებიანი, სისხლჩამდგარ თვალებს რომ ბოროტად აჭყეტავდა, ყველაზე ზორბა ქაჯი; ჩმახი მუხლებამდეც ვერ სწვდებოდა. კისერზე მოჰკიდა ბრჭყალი და კედელში გამოშვერილი, მოზრდილი ლოდის ქიმზე წამოასკუპა.

– დემოკრატიის ნიღბით მე ვათახსირებ კაცობრიობას! – ლოთის აჭრილი ხმით დაიჩხავლა ახმახმა. – დემოკრატიის სახელით სატანის საჯირითო არენად ვაქციე ერაყი. უძველესი ექსპონატებით მდიდარი მუზეუმები გავაპარტახე,წარსულის საამაყო ძეგლები მოვსპე, რომ კაცობრიობამ არ იცოდეს, საიდან მოდის. სიკეთე ბოროტებად ვაქციე და ახლა იქ ქაჯური ქაოსი ბობოქრობს. თუ ყველა ქაჯთა მონად არ იქცა, ისე გავჯენთავ ბოროტებით, რომ ქაჯები გააკვირვონ ადამიანობის წაბილწვით.

– გიხაროდეს უუწმინდურესო, გარყვნილო, გათახსირებულო მბრძანებელო, მეც სულ ახმახის გვერდით ვარ, – აქა-იქ ბალანგაცვეთილი, მოკუზული, პირდორბლიანი ბოროტება ახმახს გვერდით ამოუდგა და ამაყად დაიჯღანა. მას ჭყივილით აყვა მის ბალანზე მოჭიდებული სვასტიკიანი ეშმაკი და ორი პატარა ოღონდ ბოროტად დაღრეჯილი სიმახინჯე.

– რა საშინელი ქაჯია და რასასიამოვნოდ მახინჯი წვრილფეხობა ჰყოლია. ნეტავ როდის მეღირსება მაგის მსგავსი საფრთხობელა რომ გავხდე, – უჩუმრა ამოიკნავლა ახლდაგამოჩეკილმა ქაჯმა.

– ეგ ახმახი ამერიკელთა გადაგვარებას ემსახურება,მეორე ჩახმახი კი ნატოდ წოდებული ევროპის უბედურებაა; მაგათ შორის ბევრს რომ ხმაურობს ეგ რახრახია, უკრაინელთა ჭირად შექმნა ბელზებელმა. უკრაინელებს უნდა აურიოს ტვინი და თავის ძმა რუსეთს თავისსავე დასაღუპად მტრად უნდა მოეკიდოს. ის პატარა მოკუნტული ვირთხას რომ ჰგავს შეშინებული წრიპინებს და კანკალებს, ცახცახია ბალტიისპირეთის ხალხების გასაუბედურებლად შექმნილი ეშმაკი, ნეოფაშიზმის აღორძინებას ემსახურება და ხალხს რუსეთის შემოჭრით აშინებს, თვითონ კი თავისსავე შეთხზულ ზღაპრისგან შიშით კანკალებს. ჩახმახს ბალანზე რომ ეკვრის და წრიპინებს მთელი ქაჯეთის სიამაყე ფაშიზმია. ერთხანს ჩვენთან – პენსიონერებთან იყო, მაგრამ ბელზებელმა მისი კვლავ ამოქმედება ისურვა და ჩახმახთან გაამწესა; ეგენიც სათუთად უვლიან. ჩმახი კიდევ საქართველოს საუკუნეებგამოვლილი უბედურება, თითქმის ბელზებელის ასაკისაა.

– შენ ვინა ხარ? – ახლად გამოჩეკილი ეშმაკის ცნობისმოყვარეობა არ ისვენებდა.

– მე ძველი რომის აწ პენსიონერი ეშმაკი ვარ, უძლიერესი ლათინთა მოდგმის გამრყვნელი და ამომგდები, ფრიად დამსახურებული, სანიმუშო და საპატიო ქაჯებს შორის. თქვენც აღსაზრდელად მოხვალთ ჩემთან და ნახავთ, როგორ გათახსირების და გარყვნილების ქურაში გაწრთობთ.

– აგერ, მაღალი, რიჟა, რქამოტეხილი, მეჯებმორყეული, წელში მოხრილი და ალაგ-ალაგ ბალანგაცვენილი ფაფახია, რუსეთის მოსასპობად შექმნილი არარაობა, – ლათინთა ამომგდებმა მისკენ გადააფურთხა. – რუსეთში ფეხქვეშ გაიგდეს და ძლივს გამოასწრო.

– გარყვნილო და გათახსირებულო, ახმახო და ჩახმახო, თქვენ ქაჯეთის სიამაყე ხართ, – ბელზებელმა საზეიმოდ გამოაცხადა, რასაც ქაჯების გამაყრუებელი ჭყივტინი და ჭყივილი მოჰყვა.

– დიდი მადლობა, უუწმინდურესო ბოროტებავ, ესოდენი შექებისთვის, გჯეროდეს, რომ დედამიწას ქაჯების საჯირითო მოედნად გადავაქცევთ, – ერთხმად ამოიჭყივლეს.

– ამას როგორ აპირებთ, მოგვიყევით და გაახარეთ ქაჯების შეყრილობა, – ბრძანა ბელზებელმა და მოსასმენად მოემზადა.

– პირველ რიგში სქესობრივი სიბილწე, გარყვნილება და აღვირახსნილი უსირცხვილობა, ერთსქესიანთა დაქორწინების დაკანონება, პედერასტების, ყველა ბილწთა და გარყვნილთა აღლუმების მოწყობით უნდა წავბილწოთ ადამის მოდგმა. ვაი მას, ვინც ერთსქესიანთა ქორწინებას არ დააკანონებს. ყოველივე ეს ბოროტება და სიმუხთლე დემოკრატიის ნიღბით რყვნის ადამიანებს და სვრის ყველაწმინდას. ადამიანურ კეთილშობილებაზე ქაჯების ასეთი მასშტაბური და წარმატებული შეტევა ჯერ არ ნახულა. გარდა ამისა, დიდი მადლობა, უუწმინდურესო, რომ ფაშიზმის აღორძინება ბრძანეთ და ჩემ ბალანზე მოჭიდებული პოლონეთში, ბალტიისპირეთში და უკრაინაში წარმატებით სპობენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ობელისკებს, – ამაყად განაცხადა ჩახმახმა, – ახმახთან ერთდ და შენი დიდი მონდომებით სიმშვიდეს არ ვაღირსებთ ადამის მოდგმას.

– საქართველო რად დაგავიწყდათ, – აჭყივლდა ჩმახი, – ჩემთნ უფრო ადრე არ დავიწყეთ ობელისკების აფეთქება და ძეგლების ნგრევა?!

– დაიწყეთ, მაგრამ გაჩერდით, – შეედავა ჩახმახი.

– ხალხი ისე იყო აღშფოთებული, ჩვენ ლაქია ნაციონალებს ისე გაპუტავდნენ, მათ ბუმბულს ქარს გაატანდნენ. მაგარი ეშმაკობა ვიხმარეთ ვითომ ხალხის რჩეული ხელისუფლება მოვიყვანეთ, კოჰაბიტაცია მოვიგონეთ და ნაციონალების ასპიტები ნარის ეკალივით მოვამრავლეთ. ახლა ერთის მაგიერ, იმდენი ნაცისტი ასპიტი პარტიად წოდებული ბანდა გვყავს ჩასაბურებული, მალე ნახავთ, როგორ ქაჯურ კარნავალს გავმართავთ საქართველოში, – ამაყად იჭყივლა ჩახმახმა.

– ახმახის და ჩახმახის მიერ მოწყობილ სატყუარას მარტო შენ ნუ ეგლისები, უჩვენოდ მეტიჩარა ყვინჩილასავით გაგპუტავდნენ, – გაუწყრა ჩახმახი. ახმახმაც დაუბრიალა თვალები და ჩმახს პასუხის გაცემის სურვილი ლაშებზე შეახმა.

– სწორედ მე და ახმახმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების სიმშვიდე არ შევარგეთ კაცობრიობას. მას შემდეგ ცეცხლითა და ყალბი დემოკრატიის ბანგით ვსპობთ და ვანადგურებთ ადამიანობისთვის ყოველივე სასიკეთო გაფაჩუნებას. ქაჯურ როკვაში საბჭოთა კავშირი გვიშლიდა ხელს, დაიშალა და მთელი მსოფლიოს ქაჯურ ჯოჯოხეთად გადაქცევაში ხელს აღარავინ გვიშლიდა, მაგრამ მარლთმადიდებლური რუსეთი ისევ წამოიმართა და ყოველივე ქაჯურს უფლის სახელით სპობს სადაც კი ხელი მიუწვდება.

– რას აკეთებს რუსეთის გაქაჯებაზე პასუხისმგებელი ფახფახი! გავკრეჭავ და აქ, ნაპრალში კარცერის ლოდზე მივაბამ! – აჭყივლდა ბელზებელი.

მაღალი, რქამოტეხილი, კოჭლი და წელში მოხრილი რიჟა ეშმაკი წინ წამოდგა: – უუწმინდურესო, რაზე მემდური, ქაჯურად ჩემზე უკეთესად ვინ გაისარჯა? რუსეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლით ვინ დააბეჩავა? სტალინი რომ არა რუსეთის ხსენებას გავაქრობდი. რატომ არ მომაშორე?! ხელი მომავლო და მოუსავლეთში მომისროლა, რქაც მომტეხა და ძვლები დამიმსხვრია. სანამ სტალინი ცოცხალი იყო ქვესკნელში რად იმალებოდი? ცოტაც და ქაჯების სახსენებლს გააქრობდა ფაშისტებთან ერთად. მე რა შემეძლო, როცა შენ ზურგზე ბოლი აგადინა და ზესკნელისკენ ამოხედვასაც ვეღარ ბედავდი.

– სტალინისთნა კაცობრიობის ბედნიერებისთვის თავდადებული უძლიერესი გონების მოვლენა ადამის მოდგმას არ ჰყოლია. ცოტაც და ბოროტებას თავისი ქაჯებიანად ბოლოს მოუღებდა, მაგრამ, ხომ ხედავ, გადავრჩით, – ამოღერღა ბელზებელმა.

– მისი სიკვდილის შემდეგ ჩემს მიერ გაწვრთნილმა სიბილწემ არ დაიწყო საბჭოთა კავშირის ნგრევა? მას შემდეგ ყველა ჩემი შერჩეული სუსტი გონების საცოდაობანი არ ღრღნიდნენ სტალინის ძლიერი გონებით ნაგებ ქვეყანას, ბოლოს თხელტვინა ტყლიპინამა საცოდაობამ რომ მოუღო ბოლო? რამხელა ქაჯური მცდელობა დამჭირდა ადამიანთა მოდგმის იმედად შექმნილი სასწაულებრივი ქვეყნის დასაშლელად.

– დაგჭირდა კი არა, დაგჭირდა, – ბელზებელმა შეუსწორა.

– ჰო, დაგჭირდა. რუსეთი უკვე დასაჭრელად ყასბის კუნძზე გვყავდა შემოდებული ჩვენი მსახური, ლოთი ელცინის დახმარებით. ამის ადგილზე ქაჯთა მოდგმის დაუძინებელი მტრის, პუტინის გაშვება რატომ დაუშვით?! მე რაზე მემდური, როცა შენც ვერაფერი გაგიწყვია? – მთელი ძალით აჭყივლდა ფახფახი.

– ვინ იფიქრებდა უკვე ასაკუწად გამზადებული რუსეთის გამოცოცხლებას, ამას უფლის ხელი ურევია, იცოდეთ! წადით, ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ, უფლის გაღიზიანებას ერიდეთ! – აჭყივლდა ბელზებელი.

ქაჯები თავპირისმტვრევით გაცვივდნენ გარეთ.

– ვაჰმე, ქართველებს თუ ისევ გადმოხედა უფალმა, რა მეშველება! – კვნესით ამოწრიპინა ჩმახმა და ქაჯების ბანდას შეერია.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**

# ᲢᲔᲚᲔᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲬᲣᲮᲔᲑᲨᲘ

**ეს წერილი ბატონმა თენგიზმა ათი წლის წინ გამოაქვეყნა, მაგრამ მასში წამოჭრილი პრობლემა ბევრად აქტუალურია დღეს, ვიდრე 10 წლის წინ იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი კიდევ ერთხელ დაბეჭდვა**

## ᲥᲡᲔᲜᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘ

ტელევიზიის ავ-კარგზე ბევრი თქმულა და დაწერილა. მე ვერაფერს დავუმატებ. ის დამრჩენია, სხვათა ნათქვამი გავიმეორო და ჩვენი ტელევიზიის შემყურემ უდაბნოსა შინა მდაღადებელივით ხელი უიმედოდ ჩავიქნიო.

რადგან ხელისუფლებისგან ტელეარხების მფლობელებს, მასობრივი კულტურის ცნობილ სახეებს (სხვებსაც) ქსენოფილიის ვირუსი შეჰყრიათ და ეპიდემია მძვინვარებს, ამიტომ ვცდილობ, იქნებ უცხოელთა აზრებმა მაინც განკურნოს ყოველივე უცხოურის ჩვენი ბრმად მოყვარულნი და თაყვანისმცემლები.

თუმცაღა, ისიც ვიცი, რომ, როგორც ძაღლის კუდს ვერ გაასწორებ, ისე მათ ვერ მოაშლევინებ ავადმყოფურ ლტოლვას დაკარგონ ეროვნული სახე და იქცნენ ღამურებად, ევრო-ამერიკულ ჰიბრიდად, უცხო სხეულს მჭიდრო მიკრულ პარაზიტებად, რომლებიც ეროვნულ კულტურას სისხლსა სწოვენ.

გზა ჯანდაბისკენ ჰქონიათ, მაგრამ ტრაგედია ის არის, რომ ტელევიზიით, მასობრივი კულტურით, ახალგაზრდობას რყვნიან, ავიწყებენ საკუთარ ღმერთს, უქადაგებენ კოსმოპოლიტიზმს, უხშობენ ეროვნულ იმუნიტეტს... ეს შემზარავი რეალობაა და წინ და თუ არ აღვუდექით სოროსის დოლარებით ძუძუმწოვართა სატანისტურ აბობოქრებას, სულ მალე საქართველოს მომავალს, ახალგაზრდობას საზარბაზნე ხორცად გამოსადეგ ხსოვნადაკარგულ მანქურთებად აქცევენ!

ვიცი, დღეს **"წერე და იკითხეს"** ბნელ ეპოქაში, განათლების მინისტრის მიერ წიგნის უარყოფის ჟამს, ამ გადაგვარებულ ადამიანებთან ეროვნული სულის გადარჩენაზე მოწოდებას მგლის თავზე სახარების კითხვის მნიშვნელობა აქვს.

წერილები, რომლებიც იბეჭდება ენის, მამულის, სარწმუნეობის გადარჩენის თაობაზე, ძირითადად განკუთვნილია ჩვენთვის და არა ერთ მუჭად შეკრულ მეხუთე კოლონისთვის.

საკაცობრიო გამოცდილება გვასწავლის, რომ მეხუთე კოლონას ვერანაირის შეგონებით, ხვეწნა-მუდარით, ახსნა-განმარტებით ვერ მოაშლევინებ ძირგამომთხრელ საქმიანობას. მათ მოსაქცევად (ასალაგმად) არსებობს თანამედროვე პედაგოგების მიერ რატომღაც ათვალწუნებული სააღმზრდელო მეთოდი – როზგი!

ძველმა პედაგოგებმა კარგად იცოდნენ როზგის ფასი, მისი ზემოქმედების ძალა და თვით ლორდთა ამაყი შვილების ჯენტლმენებად ჩამოყალიბების პროცესში ხშირად წარმატებითაც იყენებდნენ. მათ კარგად იცოდნენ ერთი კანონზომიერება – რაც უფრო მეტი ახალგაზრდაა გასაროზგი, მით უფრო ეფექტური და თვალსაჩინოა გაროზგვის დადებითი შედეგი. ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში უნიჭო, უვიც და ამბიციური ახალგაზრდების ბუმს, ზემოთ ნახსენები კანონზომიერების ძალით თითქოს უნდა არსებობდეს მათი მოქცევის სუსტი, მინავლებული შანსი.

როზგის მომხრე პედაგოგთა ხანგრძლივი დაკრივებით დადგინდა ის, რომ გაროზგვის ძალის პროპორციულად იზრდება მისი აღმზრდელობითი ეფექტი. სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში, ამ უტყუარ მამაპაპურ მეთოდს ვერ გამოვიყენებთ: ჯერ ერთი, საკუთარ შვილიშვილს ყურს ვერ აუწევ, ლიბერალ-დემოკრატები ბავშვის უფლებათა უხეშ დარღვევაში დაგვადანაშაულებენ და მეორეც (რაც არსებითია), გასაროზგი იმდენია, რომ საროზგე მასალას ვერ იშოვი, სანთლით საძებარი გახდება.

ისდა დამრჩენია, ყოველივე უცხოურზე ამოკივით შეყვარებულთ თვით უცხოელთა ციტატებით ვესაუბრო. იქნება ამან ჩააგდოთ გულისთქმაში, დაფიქრდნენ და ხელი აიღონ თავიანთი და სხვათა გადაგვარების საქმიანობაზე.

წერილები, რომლებიც იბეჭდება ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის პრობლემებზე, ძირითადად განკუთვნილია ჩვენთვის და არა მეხუთე კოლონისთვის. ჩვენთვის, რათა ცხადად დავინახოთ საქართველოს ცაზე ჩამოწოლილი ავბედითი შავი ღრუბელი, კიდევ ერთხელ გავაცნობიეროთ, თუ რა მეთოდებით და საშუალებებით მიმდინარეობს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული არაფარული, დივერსიული, არამედ, უკვე აშკარა, დაუფარავი, გამოცხადებული ომი.

ამ ომის მთავარი იარაღი, **"ომის ღმერთი"** არის ტელევიზია.

## ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ...

ტელევიზიას ზოგადთან ერთად აქვს ისეთი კერძო თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია იმ საზოგადოების კულტურის დონით, გემოვნებით და მსოფლმხედველობით, რომელთა ხელშიც ტელევიზია **"მძლავრ პოლიტიკურ ბერკეტად"** და **"ფულის ძალაუფლების ძლიერ საცეცებად"** იქცა.

ფრანგული ჟურნალ **"ექსპრესის"** ტელემიმომხილველი წერს: **"მითხარი, როგორია შენი ტელევიზია და გეტყვი, ვინა ხარ შენ"**.

ვნახოთ, როგორია ჩვენი, საქართველოს ტელევიზია.

საქართველოს ტელევიზია გაჩხიბულივით ცდილობს მასობრივი კულტურის მდარე ხარისხის პროდუქციის ეკრანზე ჩვენებას და ამ მცდელობამ თავად იგი კიჩად გარდაქმნა.

მასობრივი კულტურა დაიბადა და ფეხი აიდგა განვითარებულ, ურბანო-ინდუსტიულ ქვეყნებში, **"მასობრივ საზოგადოებაში", "ინდუსტრიულ საზოგადოებაში"...**

ფსევდოკულტურის დაბადებისთვის და არსებობისთვის „არც ეროვნულ ხასიათს, არც პოლიტიკურ წყობას მნიშვნელობა არა აქვს. ერთადერთი, რაც მნიშვნელოვანია, ეს არის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია", წერს ამერიკელი სოციოლოგი როზენბერგი.

საქართველო არც განვითარებული, ურბანო-ინდუსტიული ქვეყანაა და არც ვარდების რევოლუცია წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას. მაშ, რამ განაპირობა საქართველოში მასობრივი კულტურის ბუმი, იმ ქვეყანაში, სადაც ეროვნული თვითმყოფადი, მაღალი კულტურის გვერდით ჰყვაოდა კლასიკური კულტურა მსოფლიოში სახელგანთქმული კულტურტრეგერებით?

ამ პროცესის უმთავრესი მიზეზი ქსენოფილიის ეპიდემიაა. სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი (ეს სიტყვა ქსენოფილებს უყვართ) ქართველების ევროპელებად გადაქცევის მანიაკური სწრაფვა გახლავთ. ევროპელობა კი მარტო ქერა თმები არ არის. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თანამედროვე ევროპული კულტურის (მხედველობაში მაქვს ერზაც-კულტურა) გათავისება, რის შედეგადაც იტალიელი კინოგმირივით თმის ქერა ფერით შეღებვა არ დაგეჭირდება... კიჩის გათავისების შემდეგ ნატურალური ქერა თმა თავისთავად ამოვა... გარკვეული დროის შემდეგ... ჩვენც სად გვეჩქარება?

დასავლეთელი პროფესორი დანიელ ბელი წერს: **"დღევანდელ კულტურაში გაბატონებულია ანტიინტელექტუალიზმი და მართლწესრიგის საწინააღმდეგო ფასეულობები. ტრადიციამ, წესრიგმა და რაციონალურ-კრიტიკულმა სულმა საზოგადოებაში ფასი დაკარგა. მოდერნისტულმა კულტურამ საზოგადოება სულიერი და მორალური რღვევის ზღვრამდე მიიყვანა".**

ამერიკელი სოციოლოგი კლიმენტ გრინბერგი წერს: კიჩი **"დასავლეთის ინდუსტრიალიზაციის კიდევ ერთი პროდუქტი ძლევამოსილად დააბიჯებს მთელ დედამიწაზე, ამახინჯებს და განდევნის ნაციონალურ კულტურას ერთიმეორის მიჟოლებით განუვითარებელ ქვეყნებში".**

საქართველოსთვის განუვითარებელი ქვეყნის სტატუსის მინიჭებამ მწვანე შუქი აუნთო საქართველოში ფსევდოკულტურის შემოჭრასა და გავრცელებას. სამეცნიერო სკოლების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების დევალვაციას. მავანთა აზრით, ჩვენთვის საკმარისია დაწყებითი განათლების მიღება, წერა-კითხვის და ანგარიშის ცოდნა. რაც შეეხება მაღალ კულტურას, იგი გაუგებარია, ძნელად აღსაქმელი და ამიტომ სჯობს ვიმღეროთ და ვიტლინკაოთ შიშველი უკანალების ბრუნვით, ზანგურ ყაიდაზე...

გულუხვად დაფინანსებული საქართველოს ტელევიზია ამ დავალებას ფრიადზე ასრულებს და ამიტომ დაუყვედრებელ პურს ჭამს.

ჩვენი ტელევიზია პროვინციალიზმის შენიღბვას უცხოელთა წაბაძვით ცდილობს, ვერ ხვდება კი, რომ სწორედ ეს წაბაძვა არის პროვინციალიზმის მკვებავი არტერია, უნიჭოთა ანდამატი და განვითარების მუხრუჭი.

საქართველოს ტელევიზია ამკვიდრებს მეტყველების **"თანამედროვე"** სტილს. სტუდიის სტუმარ-მასპინძლები ქართულ ბგერებს წარმოთქვამენ ინგლისური ენის ფონეტიკის წესების დაცვით, მაგრამ რეტროსპექტული გადაცემებისას გამოიყენება მეტყველების არქაული ფორმა. მაგალითად, როცა ნიკო ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობენ, აუცილებელია ტექსტის წამკითხველმა ქართულის კარგი მცოდნე თბილისელი სომეხივით იმეტყველოს და ქიზიყელი ქართველი კაციც ავლაბრელი სომეხივით ალაპარაკოს... ქართული ენის **"არქაულ"** ფორმად თბილისელი სომხების ქართული იქცა...

გადაცემებს შორის სულის მოსათქმელად ვისმენთ **"წინწყაროს"**, რომელსაც თან ახლავს ამოძრავებული ნახატები: მახინჯი შიშველი ქალი, ნემსიყლაპიას ფრთებით და სირინოზის კუდით... თავგასიებული, ღაბაბიან-ფაშვიანი ადამიანთა ჯგუფი... აღმოსავლურ ტალავერში გამოწყობილი მუსიკოს-შემსრულებლები აღმოსავლური საკრავებით...

**"წინწყარო"** არც ფაშვიან-ღაბაბიანთ შეუქმნიათ და არც აღმოსავლურ საკრავთა თანხლებით მღერიან.

ყოველივე ეს თითქოს უმნიშვნელოა, თვალში რომ არ მოგხვდება, ყურადღებას რომ არ მიაქცევ, მაგრამ ქართული კულტურის შედევრებს ვიღაცეების მიერ ამგვარი **"შეკაზმვა"**, სხვა ვიღაცებს საბაბს აძლევს ამტკიცოს ფიროსმანიშვილის სომხობა... ამტკიცოს (თუ ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებიათ) ქართველების მიერ დაჩაგრული სომეხი ერის საგანძურიდან **"ჩაკრულოს", "მრავალჟამიერის", "სულიკოს", "წინწყაროს"** მითვისება.

მხოლოდ ჩვენს ტელეეკრანებზე ვხედავთ და ვისმენთ, თუ როგორ აჰყვებიან ტელეწამყვანები სტუდიაში მიწვეულ მომღერალს ტანის რხევით, მაგიდაზე თითების კაკუნით და ჩაღიღინებით...

ვხედავთ და ვისმენთ მარად ეგზალტირებული, ყოვლისმცოდნე ტელეჟურნალისტის ვულგარულ-ფამილარულ ქაქანს, კიდურების უთავბოლო ქნევას და ემოციის ამერიკულად გამოხატვა-შეკივლებას: ვაუუუ!

ჩვენს ტელევიზიაში დამკვიდრდა ყოფითი შემთხვევის გადაცემის ორიგინალური სტილი: აუცილებელია ხანგრძლივი სირბილი გულამოვარდნილ-აქოშინებულივით, სიტყვების ყლაპვით გვამცნონ ვთქვათ, შემთხვევა ხანძრის შესახებ, რომელიც გენერალური პროკურატურის ეზოში ნაგვის ბუნკერში გაჩენილა... თან უთვალავჯერ უნდა გაიმეორონ ერთი და იგივე: გენერალური პროკურატურა... ეზო... ხანძარი... ეზო... გენერალური პროკურატურა...

ვხედავთ და ვისმენთ საშინელი ტრაგედიის ჩვენების შემდეგ, მომდევნო წამს, ამ ტრაგედიის მაცნე დიქტორები როგორ სიცილ-ხარხარით მოგვითხრობენ ჰოლივუდელი ვარსკვლავის პიკანტურ თავგადასავალს... ვხედავთ, თუ როგორ ეშმაკურად უციმციმებთ თვალები და მორცხვად ხითხითებენ პრეზერვატივის რეკლამის დროს. მაგრამ სრულიად სერიოზულად, ხანგრძლივად, **"მეცნიერულ დონეზე"** ესაუბრებიან ლესბოსელებსა და მამათმავლებს. როგორც შეჰფერით დემოკრატიის ბურჯებს, გულთან ახლოს მიაქვთ მათი გაუკუღმართებული სექსუალური პრობლემები, შეშფოთებულნი არიან იმ საზოგადოების ჩამორჩენილობით, დემოკრატიასთან ცოტა მწყრალად რომ არის...

დანაშაულია ის, რომ დღე და ღამე გადაიცემა სატანისტური მუსიკა, კლიპები, როკვა, პორნოგრაფია... დანაშაულია ის, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ხორუმს ცეკვავენ, ახალგაზრდებს ეროვნული ცეკვა დაავიწყონ და სხვათა დაკრულზე **"ლამბადა"** აცეკვონ... ასწავლონ იატაკზე კისრით ტრიალი და ამ ეშმაკეული როკვის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებას მიესალმონ...

საქართველოს ტელევიზია მოსახლეობას ქვეყნად მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაციას აწვდის, მაგრამ ძალზე მცირე დრო ეთმობა ამ მოვლენების ანალიზს, მოვლენების მიზეზთა ძიებას, ამ მოვლენების ტრაგიზმისა და საბედისწერო შედეგების გაცნობიერებას... ცოტა სიმართლე და ბევრი ტაშ-ფანდურა, დილისა და საღამოს შოუ, ცოცხალი თუ მკვდარი შოუ, ფარული კამერა, კვირის შოუ, შაბათის შოუ... შოუ... შოუ... შოუ... რეკლამა... რეკლამა... რეკლამა...

ასე იყო მაშინ, როდესაც აფხაზეთი იკარგებოდა და ასეა დღესაც, როცა საქართველო იკარგება!

როგორც ჩანს, ტელეარხების მფლობელებს ერთი მიზანი ამოძრავებთ: მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა! ცდილობენ ტკივილი დაგვიამონ, სიცილ-ხარხარით, **"იუმორით"** ვუყუროთ კულტურის კვდომას, ზნეობის დეგრადაციას, ქვეყნის დაქცევას... ცდილობენ ვიცხოვროთ **"დაიჭირე წამის"** პრინციპით!

ლათინურ-ამერიკული ტელესერიალების ჩვენებას, ტელესერიალთა გმირების პორტრეტებით მეტროპოლიტენის სადგურების გალამაზებას, ხუანიზაციას ემატება აღმოსავლეთის ქვეყნის, ტაილანდის თანამედროვე **"კულტურის"** პროპაგანდა.

ბედნიერი ტაილანდელები **"ტკბებიან"** უცხოელ ინვესტორთა მიერ აგებული სასტუმროებით, შადრევნებით, კაზინოებით, საროსკიპიოებით... ტრადიციული და არატრადიციული სექსის მიმდევართა ლეგიონებით: ლესბოსელებით, მამათმავლებით, პედოფილებით, ზოოფილებით, ნეკროფილებით, უსქესო და სექსგადაკეთებულთა **"თავისუფლებით"**...

ბედნიერი ტაილანდელი ახალგაზრდა ქალები დოლარს პროსტიტუციით შოულობენ... მათი მშობლები კი აღმოსავლური თავაზიანობით კლიენტებს სასტუმროებში, საროსკიპოებში, კაზინოებში ემსახურებიან...

ტაილანდზე გადაცემას საკმაო საეთერო დრო დაეთმო. არ ყოფილა მინიშნებაც კი იმაზე, რომ ამგვარი ცხოვრების წესს ღმერთი, ნებისმიერი რელიგია, სატანისტების გარდა, სასტიკად კრძალავს... პირიქით, მთელი გადაცემა აღმოსავლელი ტაილანდელების დასავლურ კულტურასთან შერწყმის **"კეთილისმყოფელი"** გავლენის ჩვენებას, მის პოპულარიზაციას მიეძღვნა...

თუ გავითვალისწინებთ ტელევიზიის მაგიური ზემოქმედების ძალას, მაგვარი გადაცემები ქართველ ტელემაყურებელს თანდათან აჩვენებს, დაეუფლოს სტილისტის, მასაჟისტის, ბარმენის, ხელზე მოსამსახურის და... მეძავის ფრიად შემოსავლიან, პრესტიჟულ პროფესიას!

ხომ არ არის ჩვენი ტელევიზია ფარული ხელის მძლავრი პოლიტიკური ბერკეტი საქართველოს კავკასიურ ტაილანდად გადაქცევის საქმეში?

იშვიათად არის მაღალპროფესიული დონის გადაცემები, მაგრამ გამონაკლისი ხომ წესის არსებობის პირობაა?

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე! თავმოდრეკით ბოდიშს მოვიხდი... მაგრამ, დაე, მკითხველმა განსაჯოს, აქვს თუ არა საფუძველი ჩემს პესიმიზმსა და გულისტკივილს.

**P.S.** ***წერილი დავასრულე და ცნობიერებაში კვლავ ამოტივტივდა მეტროპოლიტენის სადგურებში გამოფენილი ლათინოამერიკულ ტელესერიალთა გმირების უზარმაზარი პორტრეტები... თმაგაწეწილი, კენტავრივით მოარული ხუანი... ავხორცი ქალები... თვალხარბი და გულხარბი მამაკაცები... ერთგული თუ ორგული მსახურები...***

***რა მიზნით ხარჯავს რუსთავი-2 დიდ თანხებს ანტიკულტურით შობილთა პორტრეტების გამოფენისთვის?***

***წიგნებში ბევრი ვეძიე უცხოელ ჭკვიან კაცთა მიერ ამგვარი მოვლენის ახსნა. ამაოდ გავისარჯე... ახსნა არც ექნებათ. საიდან ეცოდინებათ გლობალიზაციის მღვრიე მორევში გადაჩეხილი, ყველა ვიგინდარის მიერ თავში ჩარტყმული ერთი უპატრონო ქვეყნის ტელეარხების მფლობელთა გულებში რა ვულკანური ვნებები ბობოქრობს, ხოლო ცხელ თავებში რა კოსმოსური აზრები ფუთფუთებს?***

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს სოსო ანთიას მამის**

**ᲙᲐᲠᲚᲝ ᲐᲜᲗᲘᲐᲡ**

**გარდაცვალების გამო.**

**გზანათელი ჰქონოდეს გარდაცვლილის სულს იმქვეყნიურ საქართველოში!**

ილორი

# ფუცუ დგებუაძე-ფულარია — 130

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქართულ მწერლობაში ცოტანი იყვნენ მწერალი ქალები. თუმცა, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორი საუკუნის მიჯნაზე, ბობოქარი პოლიტიკური გარდაქმნების და სოციალური გარდატეხის ჟამს ისინი გაბედულად შემოვიდნენ ლიტერატურაში და წარსულისა თუ თანამედროვე თემების მაღალმხატვრული გაშუქებით გამოკვეთილი კვალი დატოვეს.

შემოქმედ ქალბატონებს შორის ფუცუ დგებუაძე-ფულარია გამორჩეულია. მან თავიდან მცირე ზომის მოთხრობების გამოქვეყნებით მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. მისეული ხედვა და ტკივილის განცდის ოსტატურად შერწყმა გარკვეულ ემოციას იწვევდა მკითხველში. გამოქვეყნებულ მოთხრობებში **"გრძნობათა ნანგრევებზე", "გალმა", "შრომის ძალა", "ქალის გული", "რუსუდანი"** გადმოცემულია ადამიანის სულიერი ენერგია, გახსნილია მათი შინაგანი მდიდარი ბუნება.. მწერალი ქალი არ მიმართავდა მისტიკურ მანიპულაციებს, უბრალოდ და გასაგებად ყვებოდა ადამიანის მოზღვავებულ გრძნობებზე, მათს ხასიათზე, ქცევებზე, რწმენაზე.

ეს ის ჟამია, როცა ასპარეზზე გამოდიან ივანე ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ეგნატე ნინოშვილი და მისი თანამედროვენი. ქალ მწერალთა შორის ფუცუ დგებუაძემ იტვირთა მძიმე ტვირთი. მიუხედავად საბჭოთა ცენზურისა, როცა ტექსტები არა შინაგანი ხმის კარნახით, არამედ დაკვეთით იქმნებოდა, მან შესძლო პატიოსნად ხარკი მოეხადა ქართული კლასიკური პროზისთვის. ამის მაგალითია ისტორიული რომანი **"ოქროს ბეჭედი"**.

მწერლის ნიჭიერება სწორედ ის არის, რამდენად ხელეწიფება ამა თუ იმ სახის კონიუნქტურაზე მაღლა დადგომა. რომანი **"ოქროს ბეჭედი"** გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ორჯერ გამოიცა. ამ ნაწარმოებში ასახულია ჩვენი წარსულის რეალური სურათი, მძაფრი სიუჟეტური ქარგა და სცენების მაღალმხატვრულად აღწერა. ეს ნაწარმოები ის საზომია, სადაც გამოვლინდა მწერალი ქალის შინაგანი წონასწორობის ნიჭი, საგანთა და მოვლენათა ფხიზელი ხედვის უნარი, გარდასულ დღეთა მოვლენების წვდომისა და რეალურად გადმოცემის შესაძლებლობა. წარსული მისთვის შინაური სამყაროა. ოჯახური ტრადიციებისადმი პატივისცემა და სოციალური სამართლიანობის გადმოცემა კი მთავარი მიზანი. იგი დაუნდობლად ამხელს ქართული ფეოდალიზმის ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ მანკიერებას.

მჯერა, რომ ამ ისტორიულ რომანს კვლავ მრავალჯერ დაუბრუნდებიან, რადგან თითზე ჩამოსათვლელია ესოდენ გაბედული, ზედმიწევნით მართალი და მაღალმხატვრული ნაწარმოები.

რომ არ მომხდარიყო მკითხველსა და ავტორს შორის გაუცხოვება, მწერალს უნდა დაეცვა ესთეტიკური, მორალური და ემოციური ფასეულობები, რასაც ქართველი მკითხველი მუდამ ეძიებს ნაწარმოებებში. ამიტომ, შემდგომი რომანები და ნოველები სწორედ დასახელებულ პრინციპებზეა აგებული. ამაზე ბევრმა სახელოვანმა მწერალმა ვერ თქვა უარი.

ფუცუ დგებუაძე დაიბადა 1887 წელს წყალტუბოს რაიონში. მომავალი მწერალი იზრდებოდა ბაბუის – როსტომ ლორთქიფანიძის ოჯახში, რომელიც გამორჩეული პიროვნება იყო. მის სახლში იკრიფებოდნენ ცნობილი ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები და მსჯელობდნენ ქვეყნის სვეტბედზე. ამან დიდი გავლენა იქონია მომავალ მწერალზე.

ფ. დგებუაძე აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციურ მოვლენებში. სათანადო განათლების მიღების შემდეგ. 1906 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. პირველი საბავშვო მოთხრობა 1907 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ **"ნაკადულში"** ქალის, ფსევდონიმით. 1909-1917 წლებში იყო სენაკის ქალთა გიმნაზიის გამგე. აქვე დაქორწინდა დავით ფულარიაზე. პედაგოგიურ მოღვაწეობას კარგად შეუთავსა შემოქმედებითი საქმიანობა. აქვეყნებს არაერთ საინტერესო პუბლიკაციას ლიტერატურისა და სოციალურ თემებზე. 1917 წელს ჟურნალ **"სახალხო ფედერაციაში"** დაიბეჭდა მისი ისტორიული ნარკვევი **"წალენჯიხა"** იყო მრავალი ინიციატივის თაოსანი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა საზოგადოები მოწინავე წევრებთან, მას იწვევდნენ სხვადასხვა შეკრებებზე.

1918 წლიდან შრომით საქმიანობას აგრძელებს ჯერ თბილისში, შემდგომ იმერეთსა და აფხაზეთში. ქმნის არა ერთ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს. მათ შორის რომანს **"ტყვარჩელის ლამპიონები"**. მკითხველმა მიიღო მისი ნარკვევებისა და მოთხრობების კრებული, რომელთა მთავარი გმირი ძირითადად ქალები არიან.

ყოველი მისი ქმნილება არის მწერალი ქალის სულის სიღრმისეული გამოვლინება, იმ ნათელი ბუნების ათინათი, აბსოლუტური სიკეთისა და მშვენიერების იდეალზე რომ აღიზარდა და ახალგაზრდობიდანვე, რომ იწამა. ნატიფი და დახვეწილი. გულანთებული ემსახურა ქართულ სიტყვას და თავისებურად მოიხადა ხარკი მის წინაშე.

მას, როგორც პროფესიონალ პედაგოგს, კარგად ესმოდა, რა უნდა ეთქვა თავისი თანამედროვეთათვის, რა გაეხმიანებინა, როგორი მიმართულებით წარემართა მათი ინტერესი და შეხედულებები. გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ქართულ ლიტერატურაში ძნელია წარმოიდგინო სხვა ქართველი პროზაიკოსი ქალი, გამოკვეთილი თავისებურებებით, აქტიური საზოგადო მოღვაწეობით, როგორიც იყო ფუცუ დგებუაძე-ფულარია..

ჩვენი ვალია არ დავივიწყოთ სახელოვანი წინაპრების ღვაწლი და დამსახურება. ახალ თაობას შევახსენოთ, იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა. რომელთა გარჯაც ნაწილია ერის კულტურული ისტორიისა. ფ. დგებუაძეს წილად ხვდა პატივი, რომ ამ ისტორიის ცოცხალი შემოქმედი ყოფილიყო.

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურიატი**

# მეგის ქარდავას წინააღმდეგ საქართველოში 9 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული

ამას წინათ უკრაინის პოლიციამ დააკავა სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა, რომლის წინააღმდეგ საქართველოში 9 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

აქედან, 5-ზე განაჩენი უკვე დამდგარია და ქარდავას სხვადასხვა ვადით, დაუსწრებლად პატიმრობა აქვს შეფარდებული, დანარჩენ 5-ზე კი სასამართლო განხილვები ამჟამად მიმდინარეობს.

უფრო კონკრეტულად, ქარდავა მსჯავრდებულია შემდეგ საქმეებზე:

*ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები და მისჯილი აქვს 3 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;*

*მსჯავრდებულია პატიმართა წამების საქმეზე (ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმე), სსკ-ს 1441 მუხლის მეორე ნაწილით. მისჯილი აქვს 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;*

*მსჯავრდებულია ე.წ „კასრების“ საქმეზე, საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 1441-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“და „ე“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;*

*მსჯავრდებული ბ.რ.-ს წამების საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტით და მისჯილი აქვს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;*

*მსჯავრდებულია პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამების საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.*

*ამჟამად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დაუსწრებლად იხილება მ. ქარდავას ბრალდების ოთხი სისხლის სამართლის საქმე:*

*სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის საქმე, საქართველოს სსკ 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;*

*ელდარ ქობალიას, კობა მატკავას და მერაბ ყოლბაიას წამების საქმე, საქართველოს სსკ-ის 1441 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით;*

*საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეობის დროს ჩადენილი მალხაზ არქანიას წამების საქმე, სადაც ბრალდებულია საქართველოს სსკ 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით;*

*ელბერდ კობერიძის თავისუფლების აღკვეთისა და წამების საქმე, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“, ასევე მე-3 ნაწილით.*

მეგის ქარდავა უკრაინაში დააკავეს. ამჟამად მის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები.

პროკურატურაში აღნიშნავენ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირველ ნოემბერს დაკავებული იქნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი, ყოფილი მაღალჩინოსანი მეგის ქარდავა, რომელიც 2013 წლის 13 თებერვლიდან საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდა.

სამხედრო პოლიციის ყოფილმა ხელმძღვანელმა მეგის ქარდავამ უკრაინაში, შესაძლოა, პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს. ამის შესაძლებლობა **"ინტერპრესნიუსთან"** საუბარში მისმა ადვოკატმა, მალხაზ ველიჯანაშვილმა არ გამორიცხა. ველიჯანაშვილი ნაცებისათვის ჩვეული თავხედობითა და უტიფრობით აცხადებს, რომ ქარდავას არავითარი ბრალი არ მიუძღვის ვინმეს წინაშე და იგი პოლიტიკური დევნის მსხვერპლი გახლავთო.

ადვოკატის თქმით, ამ საკითხზე მისი დაცვის ქვეშ მყოფთან კონკრეტულად არ უსაუბრია, თუმცა მისი ინფორმაციით, ქარდავა საქართველოს ხელისუფლებისგან პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს თავს და თავშესაფრის მოთხოვნის ვარაუდიც ამას ემყარება. ამასთან, ველიჯანაშვილი უკრაინის სასამართლოსგან ქარდავას ექსტრადირების გადაწყვეტილებას არ ელოდება.

"ჩვენი ღრმა რწმენით უკრაინის სასამართლო არ დააკმაყოფილებს ექსტრადირების მოთხოვნას, რადგან მეგის ქარდავას აქვს ყველაზე დიდი საფუძველი თავშესაფრის მიღების, ვინაიდან იგი საქართველოს ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ საქმეებზე დევნილად მიიჩნევს თავს. ეს არის სრული საფუძველი იმისთვის, რომ იქაურმა სასამართლომ ექსტრადირება არ განახორციელოს. ის ადამიანი გათავისუფლდება. პოლიტიკური თავშესაფარი თუ მიიღო, ინტერპოლის ძებნიდანაც მოხსნიან. ამ საკითხზე არასდროს მისაუბრია მასთან, არც კომუნიკაცია მაქვს, თუმცა მისი პოზიციიდან გამომდინარე, რომ ის პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს თავს, ეს მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მოითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს", – ჩვეული უტიფრობით განაცხადა ველიჯანაშვილმა.

მისივე თქმით, ექსტრადირებას უნდა ძალიან დიდი დრო.

"ბევრ პროცედურას მოიცავს. საუბარია მინიმუმ 5-6 თვეზე. რაც შეეხება საქმეებს, არის საქმეები, სადაც განაჩენი დამდგარია, არის საქმეები სადაც გამართლებულია, არის საქმეები, რომლებზეც სასამართლო განხილვა მიმდინარეობს", – განაცხადა ველიჯანაშვილმა და აღნიშნა, რომ საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში მისი თავისუფლება 9 წლით აღიკვეთება.

უკრაინელმა სამართალდამცველებმა ძებნილი მეგის ქარდავა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

„საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ 1 ნოემბერს დაკავებული იქნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი, ყოფილი მაღალჩინოსანი მეგის ქარდავა, რომელიც 2013 წლის 13 თებერვლიდან საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდა.

უკრაინის კომპეტენტური სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მეგის ქარდავას მიმართ გამოყენებულია საექსტრადიციო პატიმრობა და მისი საქართველოში ექსტრადიციის საკითხი გადაწყდება უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად.

მეგის ქარდავა იძებნებოდა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი არაერთი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

## "მოდი და უერთგულე ამ არაკაცს!"

ეს სიტყვები საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით თევზაძეს ეკუთვნის. კომენტარი სოცქსელებში გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მეგის ქარდავაზე განაცხადა: **"მე მისი არსებობის შესახებ მხოლოდ პრესიდან ვიცი"**.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელის მეგის ქარდავას დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

შესაბამისი განცხადება მან **"ფეისბუქის"** საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

**"მედიის წყაროები ძალიან არასარწმუნოა. ამ "უახლოეს თანაგუნდელს" მე არასდროს შევხვედრივარ და მისი არსებობის შესახებ მხოლოდ პრესიდან ვიცი",** – დაწერა სააკაშვილმა და ჩანაწერს დაურთო ბმული, რომელზეც ერთ-ერთი უკრაინული მედიასაშუალება საქართველოს ექს-პრეზიდენტის **"უახლოესი თანაგუნდელის"** დაკავებაზე წერს.

მოდი და მართლაც უერთგულე ამ დაშნაკ არამზადას, რომელსაც აშკარად ეზიზღება ქართველები და არაფრად მიაჩნია მათი სიცოცხლე!

სამართალი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება აღსრულებულად, როცა არამზადა სააკიანცი დაიკავებს **"ღირსეულ"** ადგილს ე.წ. მატროსოვის ციხეში!

**საკ. ინფ.**

# ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲜᲐ

**ალექსეევნა** – ასე ეძახდნენ მას პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების დღიდან კოლეგები, ნაცნობ-მეგობრები, შინაურებიც კი. მხოლოდ აღზრდილ-აღსაზრდელები, მათი მშობლები მეტი მოწიწებისა და სითბოს გამოსახატავად, სახელითა და მამის სახელით – ვარვარა ალექსეევნათი მიმართვას ამჯობინებდნენ.

პედაგოგიური მოღვაწეობა ალექსეევნამ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, ქალაქ სოხუმის ერთ-ერთ ძველ უბანში – შუქურაში **(„მაიაკში“)** დაწყებითი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო. შუქურაში მაშინ ძირითადი მოსახლეობა ქართული იყო. ბევრი სხვადასხვა ეროვნების ოჯახიც ცხოვრობდა ამ უბანში, მაგრამ აფხაზური არცერთი. როცა იმ წლებს იგონებდა, ალექსეევნა ხუმრობით იტყოდა – მგონი აფხაზი არც მყავდა ნანახიო. ღვთის ნება იყო ალბათ, იმ სასწავლო წელს სასწავლო ნაწილის გამგედ აფხაზი ყმაწვილი ასტამური რომ გამოგზავნესო.

ალექსეევნა მერხეულიდან იყო, ასტამური ეშერიდან. ორ წელიწადში იქორწინეს. ახლადდაქორწინებულებს სამოსახლოდ სკოლასთან ახლოს მიწის ნაკვეთი გამოუყვეს, სახლის აშენებაშიც დაეხმარნენ. ასე შეიქმნა შუქურაში პირველი ქართულ-აფხაზური ოჯახი. ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი აფხაზი ყმაწვილი ქართველი ნათესავების საყვარელი სიძე გახდა. აფხაზებმაც არანაკლები სითბოთი და სიყვარულით მიიღეს ქართველი რძალი. თუმცა, საუბედუროდ, მათმა ბედნიერებამ სულ რამოდენიმე წელს გასტანა. ასტამური უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა...

ბედისწერამ ალექსეევნას ეს დიდი ტკივილი არ აკმარა – მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ მისი უმცროსი ძმები, მაზლი, უამრავი ნაცნობ-მეგობარი, აღზრდილები. სულ მალე შვილებზე დარდს ალექსეევნას მამაც გადაჰყვა...

...ომის შემდეგ შუქურა სამრეწველო უბანი გახდა. ზედიზედ აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, ხორცის, ტყავ-ფეხსაცმლის, თევზის კომბინატები, საავადმყოფოები, კინოთეატრი. დაწყებითი სკოლა რვაწლიანად გადაკეთდა, შემდგომ კი რუსულ-ქართულ საშუალო სკოლად, მაღალი კონტინგენტით, სადაც ათამდე ეროვნების მოსწავლე სწავლობდა. ამ სკოლებში ალექსეევნამ ორმოცდაათი წელი იმოღვაწა. პარალელურად ეშერის რუსულ-ქართულ სკოლაშიც ასწავლიდა. იყო საქართველოსა და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი ჯილდოსა და მედლის მფლობელი. მისმა ერთადერთმა ქალიშვილმაც მშობლების პროფესია აირჩია.

80-იან წლებში უბანში გზის გაფართოებამ ალექსეევნას ეზო-კარი ქუჩას დაუახლოვა. ეს ქუჩა, რომელსაც მაშინ ბზიფის გზატკეცილი ეწოდებოდა, ქალაქის ცენტრალურ ბაზართან იწყებოდა და მდინარე გუმისთის ხიდთან მთავრდებოდა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ალექსეევნას თითქმის ყოველდღე, თავისი სახლის აივანზე, სავარძელში მოკალათებულს ნახავდით. ქვეითად მიმავალნი აუცილებლად შეჩერდებოდნენ მის ჭიშკართან. მოიკითხავდნენ, მიეალერსებოდნენ. ტროლეიბუს-ავტობუსებიდან კი ზოგი ხელის აწევით, ზოგიც კი ქუდის მოხდით ესალმებოდა. ალექსეევნა სალმით არავის პასუხობდა, თითოეულს მხოლოდ თბილ მზერასა და გულით ლოცვას გააყოლებდა.

აგვისტოს იმ საბედისწერო დღესაც, ჩვეულებისამებრ, აივანზე იყო გამოსული. ქალიშვილი ქალაქში იყო წასული ნათესავების მოსანახულებლად, სიძე-შვილიშვილები იმერეთში ისვენებდნენ.

მოულოდნელად თვითმფრინავმა ყურისწამღები ხმაურით სულ დაბლა ფრენით გადაუარა უბანს. ალექსეევნა სახლში შესასვლელად მოემზადა... უეცრად არემარე შეზანზარდა, ქუჩაში ბუღი დადგა. ამჯობინა ისევ სავარძელში მჯდარიყო... ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ ტანკები. მათზე ძეგლებივით გაქვავებული ჯარისკაცები მრისხანედ გაჰყურებდნენ ქუჩას. ტანკებს არეული ნაბიჯებით იარაღასხმული მეომრები და ბავშვები მისდევდნენ. მათ კვალდაკვალ სახლებიდან მოსახლეობაც გამოდიოდა. ჭიშკარს მოახლოებულ მეზობელს უხმო. აღელვებულმა მეზობელმა შორიდან რომ ვერაფერი გააგონა, აივანზე ამოვიდა და ყურში ჩასძახა: ქართველები არიან, გუმისთის ხიდისკენ მიდიანო.

ქალიშვილი ქალაქიდან შეშფოთებული დაბრუნდა. საგონებელში ჩავარდა ალექსეევნაც. სიძე ქართველი ჰყავდა, ჰყავდა უამრავი ნათესავი აფხაზი ასტამურის მხრიდან – ძმისშვილები, მათი შვილები და შვილიშვილები. ისინი გუმისთის ხიდგაღმა ცხოვრობდნენ და თუ ომი დაიწყებოდა...

ომი მართლაც დაიწყო. ხიდგაღმა სიტუაცია დაიძაბა. აფხაზ ნათესავებთან კავშირი შეუძლებელი გახდა. ომამდე კვირაში ერთხელ მაინც მოიკითხავდნენ ერთმანეთს. ყველას შესჩიოდა: ჩემების (ასე ეძახდა აფხაზ ნათესავებს) არაფერი ვიციო.

გუმისთასთან ბრძოლებში ასტამურის ორი ძმისშვილიშვილი დაიღუპა. ალექსეევნას ამ ამბავს ახლობლები დიდხანს უმალავდნენ. გვიან, ისიც მეზობლებისგან, გაიგო. შეიცხადა. შავები ისედაც გაუხდელად ეცვა, მაგრამ მეგრულ-აფხაზური წესისამებრ, მათ სახელზე ახალი შეაკერინა, შუბლზეც შემოუტეხავი შავი წაიკრა. მძიმე შავებში ჩაცმული თავის სავარძელში ღრმად ჩაეფლო.

ქუჩისკენ არცკი იყურებოდა. თავჩაქინდრული ჩუმად ქვითინებდა. სუსტი ხმით ესაუბრებოდა ასტამურს, ძმებს, მშობლებს, მაზლს. ახლადდაღუპულ ბიჭებს დასატირებლად ვერ იმეტებდა. ქუჩაში იშვიათად თუ გაივლიდნენ ნაცნობები. ძველებურად მეზობლებიც ვერ იცლიდნენ ალექსეევნას მოსაკითხად. ტროლეიბუს-ავტობუსები ომის დაწყების დღიდან არ გამოჩენილან.

ომის დაწყების წლისთავზე იმედი გაჩნდა. პირველი სექტემბრისთვის კვლავ გამოცოცხლდა უბანი. სკოლებს, ინსტიტუტებს, ოჯახებს დაუბრუნდნენ გახიზნულები.

ვაი, რომ ამ იმედს გაცრუება ეწერა.

16 სექტემბერს აფხაზმა **“ბოევიკებმა”** კვლავ განაახლეს ბრძოლები. კვლავ გაიხიზნა მოსახლეობა. ბევრმა გახიზვნაც ვერ მოასწრო. გზები ჩაიკეტა. ქალაქი ალყაში მოექცა. უმეტესობა სახელდახელოდ მოწყობილი თავშესაფრების იმედად დარჩა. იბომბებოდა ქალაქი. ეშერის სკოლის თავზე კვლავ გამოჩნდა სნაიპერი. ქუჩაში იხოცებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა.

27 სექტემბერსაც ცხელოდა სოხუმში. შუქურაში დილიდანვე სიმშვიდე იყო. ალექსეევნას ეზოში დაუკრეფავი ადესასა და ციტრუსების სურნელი ტრიალებდა. იმ დღესაც უთენია გამოვიდა აივანზე. ქალიშვილი ქალაქში გაგზავნა ახლობლების მოსანახულებლად. მალევე უნდა მობრუნებულიყო უკან, მაგრამ არ ჩანდა. მოულოდნელად გუმისთიდან მომავალი რამოდენიმე იარაღასხმული ჯარისკაცი გამოჩნდა. ქართველები იყვნენ, ხმამაღლა, აღელვებით ლაპარაკობდნენ. ჩქარობდნენ.

მალე ჭიშკართან რამოდენიმე მეზობელმაც ჩაირბინა, მისკენ არც გამოუხედავთ. გვერდითა მეზობელმა ბავშვით ხელში ჩქარი ნაბიჯით ჩამოიარა, ალბათ გულმა არ მოუთმინა, არცკი მოუხედავს ისე მიაძახა: ალექსეევნა, შედი სახლში, აფხაზები შემოვიდნენო.

მეზობლის ნათქვამის გააზრებაც ვერ მოასწრო, ჭიშკარი ჯარისკაცმა შემოგლიჯა (ომის პირველ დღეებში ბევრი იყო ასეთი გზააბნეული მეომარი). აივანზე გახევებულ მოხუცს მანაც მიაძახა: ბებია, შედი სახლში, სოხუმი აღებულიაო. თითქოს, ამის სათქმელად გამოგზავნესო, უმალ უკანვე გავარდა, ალბათ, ამჯობინა გარდაუვალ სიკვდილს ქუჩაში შეხვედროდა.

აშკარა იყო, მარტო დარჩა. სახლში შელასლასდა, ტელეფონს დასწვდა ქალაქში დისშვილისთვის რომ დაერეკა. ტელეფონი გათიშული იყო, არც შუქი იყო, არც წყალი.

ქალაქის დაცემამ მასში დარჩენილი და მისგან სამშვიდობოს გაღწეული ქართველები ერთმანეთისგან უმოწყალოდ გათიშა. ოჯახის წევრის გამოსახსნელად უკან დაბრუნება გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა...

იმ დღიდან აივანზე არ გასულა ალექსეევნა. ფანჯარასთან მიდგმულ სკამ-ლოგინზე იჯდა. დროდადრო შეპარვით გახედავდა ქუჩას. კანტიკუნტად, მაგრამ უცხო ხალხი მიმოდიოდა. დაღამდა, მეზობლების სახლებიც ჩაბნელებული იყო. იქნებ, დუშაც, ქსენიაც, ხუტაც მარტო ან მთელს ოჯახთან ერთად სხედან საშინელების მოლოდინში.

ბოევიკები პირველი ორი დღე არ გამოჩენილან. ქართველი მეომრების შიშით კერძო სახლებში შესვლას უფრთხოდნენ.

სამი დღე და ღამე თვალის მოუხუჭავად, გაუნძრევლად ფანჯარასთან იჯდა. დადგა მეოთხე დღის კოშმარული ღამეც. ალექსეევნას სმენა დალატობდა, მაგრამ ამ სამარისებულ სიჩუმეში აშკარად გაიგონა კიბეზე ვიღაცები ამოვიდნენ. ორნი იყვნენ, ერთმანეთში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, შემდეგ კარებს მუშტები დაუშინეს. პასუხი რომ ვერ მიიღეს, ერთმა შეიგინა კიდეც, შემდეგ ორივემ ერთდროულად კარები შემოგლიჯა. ერთმა სანათურით გაანათა ოთახის ყოველი კუთხე. შიშისგან გულწასული ალექსეევნა ლოგინზე იყო გადაწოლილი. მკვდარი თუ ეგონათ – მეორემ კონდახით უბიძგა. ალექსეევნა ტკივილმა გონს მოიყვანა. ყრუდ წამოიკვნესა.

– ვინ ხარ, მოხუცო! – მკაცრად ჰკითხა ერთ-ერთმა.

ალექსეევნამ ხმა არ გასცა.

– რატომ დარჩი, მოხუცო! – ახლა მეორე ჩაეკითხა.

– მაზლისშვილებს ველოდები, – უნებლიედ აღმოხდა.

– ქართველებს ელოდები? – დასცინა ერთ-ერთმა, რომელიც სკამ-ლოგინზე ალექსეევნას გვერდით ჩამომჯდარი დროდადრო ოთახის კედლებსა და კუთხეკუნჭულს სანათურით ათვალიერებდა.

ალექსეევნამ საყველპურო აფხაზურიც იცოდა.

– აფხაზებს, ეშერაში ცხოვრობენ, – გაბედა და სათითაოდ ჩამოთვალა რამოდენიმე სახელ-გვარი.

**“ბოევიკი”** გაბრაზდა. ფეხზე წამოიჭრა. იარაღიც კი მოიმარჯვა.

– შენ რა, დაგვცინი, მოხუცო! რა თქმა უნდა, იცი, რომ მათ ქართველებმა შვილები დაუხოცეს და შენს გადარჩენაზე იფიქრებენ?

– ვიცი, ასტამური და ვალოდია დაიღუპნენ, მათზე მაცვია შავები, – მწარედ და გულწრფელად აქვითინდა ალექსეევნა.

– ილოცე, მოხუცო! ჩვენ ისევ შემოგივლით, – მუქარაშერეული ხმით დაუბარა ერთმა მათგანმა.

გათენდა. ალექსეევნა რატომღაც გამხნევდა. ოთახში გაიარ-გამოიარა. ჩაიდანში დარჩენილი წყალი მოსვა. გამხმარი პურის ნატეხი შაქრიან წყალში ჩაალბო. ფანჯარაშიც თამამად გაიხედა. ქუჩა ისევ ცარიელი იყო. გარეთ გამოსვლა მაინც ვერ გაბედა. უკანა ოთახებში გავიდა, კარები მაგრად ჩაკეტა. შვილიშვილების საძინებელ ოთახებშიც შეიხედა. დაღამდა. კვლავ უკუნმა სიბნელემ დაისადგურა შინ და გარეთ. ღამემ შიში გაუძლიერა. ძილიც არ ეკარებოდა. და თუმცა ვერაფერს არჩევდა გარეთ, ისევ ფანჯარასთან იჯდა.

ჭიშკარი წამით განათდა. პირჯვარი გადაიწერა. მომჩვენაო – იფიქრა. შუბლით ფანჯრის მინას მიაწვა. არა, ყური ნამდვილად არ ატყუებდა. კარებზე ვიღაც ფრთხილად აკაკუნებდა, შემდეგ კარებს ფრთხილადვე, მაგრამ მთელი ძალით მოაწვა. სახელდახელოდ ჩაკეტილი კარიც გაიღო.

– ვინ არის? – რუსულად შესძახა შიშატანილმა ალექსეევნამ.

მოსული მოხუცის ხმას სანთებელათი გამოყვა. მის შუქზე ალექსეევნამ თავზე შავწაკრული **“ბოევიკი”** დალანდა. **“ბოევიკმა”** სანთებელა ლოგინზე მიაგდო. შიშისგან გალეული მოხუცის წინ ჩაიმუხლა, თავი კალთაში ჩაუდო და აქვითინდა.

– რომელი ხარ? – ახლა მეგრულად იკითხა უფრო შეშინებულმა ალექსეევნამ. ბევრი ჰყავდა ქართველი მებრძოლი ნათესავებიც და აღზრდილებიც. თავზე ორივე ხელი შემოხვია.

– ვლადი ვორექ, ტიოტია (ვლადი ვარ, ბიცოლა), – მეგრულ-რუსულად აფხაზური აქცენტით უპასუხა **“ბოევიკმა”**.

ალექსეევნამ გონება დაკარგა. ვლადი მისი უმცროსი მაზლისშვილი იყო, მას დაეღუპა ორი ვაჟიშვილი. მან გალეული მოხუცი ხელში აიტაცა. ჯერ სახლისა და შემდეგ ეზოს კარები სიფრთხილით გააღო და ასევე მიხურა. ვლადი მარტო არ იყო. მანქანის კარები შიგ მჯდომმა ფრთხილად გაუღო. ჩქარობდნენ. მოხუცი უკანა სავარძელში ჩასვეს. შიშობდნენ, არავის შეენიშნა. მანქანა მოწყვეტით გააქანეს.

თითქმის ორი წელი ეძებდნენ ალექსეევნას კვალს მისი მრავალრიცხოვანი ახლობელ-ნათესავები. ყველა თავს იდანაშაულებდა...

სრულიად შემთხვევით რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში აფხაზი და ქართველი შუქურელი მეზობლები ერთმანეთს შეხვდნენ. ყველა მეზობელი მიიკითხ-მოიკითხეს. ჯერი ალექსეევნაზე რომ მიდგა, ქართველმა მისი ახლობლების დიდ გულისტკივილზე უამბო. აფხაზმა ამცნო – ჩვენც გვიან გავიგეთ, რომ ალექსეევნა მის ეშერელ მაზლისშვილებთან ცხოვრობდა და ამ ერთი წლის წინ გარდაიცვალაო.

ოჯახი დიდხანს ცდილობდა ვლადისთან დაკავშირებას, მაგრამ ის თავს იკავებდა ბიძაშვილთან შეხვედრაზე. დიდმა სიყვარულმა მაინც სძლია გულისწყრომას.

შეგნებულად და მისი უსაფრთხოებისთვის არ ვასახელებთ იმ ზნემაღალი აფხაზი კაცის გვარ-სახელს. ბიძაშვილმამიდაშვილობა და-ძმობის ტოლფასია. მან მიუხედავად იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც მის ოჯახს თავს დაატყდა, გაისიგრძეგანა ის უბედურებაც, რაც ბევრმა ქართულმა ოჯახმა, მათ შორის ალექსეევნას საახლობლომ იწვნია – ამ ომში მისი დისშვილიშვილი და რამოდენიმე ახლობელი დაიღუპა.

ეს ძმათამკვლელი ომი იყო. ალექსეევნა ასტამურისა და მისი აფხაზი ნათესავების გვერდით განისვენებს. მისი საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია ქართული და აფხაზური გვარები ნიშნად ამ ორი ხალხის სამარადისოდ ერთად ყოფნისა.

**ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲝᲒᲣᲐ,**
**აფხაზეთის ა/რ დამსახურებული ჟურნალისტი**

ილორი
ეროვნული გაზეთი

# გაეცანით უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი მეომრების გვარებს, რომელთა პირადი მონაცემები აქამდე საიდუმლოდ ინახებოდა

ინტერნეტსაიტი AMBEGI.GE დიდი ხანია, მკითხველს მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების შესახებ აწვდის ინფორმაციას, მათი დაღუპვის თარიღსა და დაკრძალვის ადგილმდებარეობას და ა.შ... ამ ხნის მანძილზე ძალიან ბევრმა ადამიანმა იპოვა თავისი წინაპარი და მათი ნეშტის სამშობლოში გადასვენებაც დაგეგმა...

მას შემდეგ, რაც ქერჩსა და ყირიმში სამარხები გაიხსნა და ასევე, აქამდე დალუქული არქივები ხელმისაწვდომი გახდა, პერიოდულად გვაწვდიან ინფორმაციას იმ ადამიანებზე, ვინც ოჯახის წევრებს უგზო-უკვლოდ დაკარგული ეგონათ...

1 ოქტომბერს, ქალაქ სევასტოპოლში, სამხედრო დასახლებაში, სამშენებლო სამუშაოების დროს, წითელარმიელის ნეშტი იპოვეს... სპეციალურ სამძებრო კომისიასთან დაკავშირების შემდეგ, აღმოაჩინეს მეომრის მედალიონიც, რომელმაც დროს გაუძლო და მფლობელის გვარი **"შემოინახა..."**

**მედალიონი კვიროსი სინას ძე მახარაძეს ეკუთვნის (მეუღლე, ზ. მუჯირი), რომლის მისამართიც კომისიის წევრებმა არქივში მოიძიეს. ის 1922 (ან 1921) წელს, მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთის) რაიონის სოფელ ნათუბილევში დაიბადა. სავალდებულო სამსახურში 1941 წლის 13 აგვისტოს გაიწვიეს. საზღვაო ქვეითთა მე-7 ბრიგადაში, შავი ზღვის ფლოტში მსახურობდა და სევასტოპოლის ბრძოლებისას, 1941 წლის 29 ოქტომბრიდან, იმავე წლის 8 ნოემბრის შუალედში დაიკარგა.**

**ძებნითი კომისიის წევრების თქმით, ნეშტი დროებით საძმო სასაფლაოზე გადაასვენეს და ოჯახთან დაკავშირებას ცდილობენ... ის აქამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.**

ასევე, უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველების დოკუმენტები იპოვეს ქალაქ ტაგანროგის საარქივო მასალებში. არსებული ინფორმაციით, ომის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებით, მათი პირადი საბუთები უნდა დაეწვათ, თუმცა, არქივის მაშინდელმა პერსონალმა დოკუმენტაცია საიდუმლოდ შეინახა. მათ მხოლოდ ახლა იხილეს დღის სინათლე...

**გეგეშიძე პართენი (პარმენი) აბაშის რაიონი, სოფელ ქოლობანი (დაბადების წელი მითითებული არ არის)**

**ფულაია ერმოლაი (ან ერმილე), ფილიპეს ძე, დაბადებული 1905 წელს, აბაშის რაიონი, სოფელ სუჯუნაში.**

**კონიაშვილი სოლომონ დავითის ძე, ქარელის რაიონი, სოფელი გარონჟი(?)**

**კობერიძე ლეონიდე ევსტახის ძე, ქარელის რაიონი (იგივე სოფელი).**

**მაღლაკაძე (მაღლაკელიძე) დომენტი ანდრეის ძე, დაბადებული 1905 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ ჭოგნარში.**

**ბლიაძე (პლეაძე) პლატონ გაბრიელის ძე, დაბადებული 1902 წელს, სოფელი კუიდი (?) ან ახალციხის რაიონის სოფელი გიორგიწმინდა.**

**ხაჩიძე ვლადიმირ კონსტანტინეს ძე, დაბადებული 1900 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ სადმერში, მეუღლე თამარ ნიკოლოზის ასული...**

**ჭილაძე ამბროსი პარტინოს (მარტინოს ან პარმენის) ძე, დაბადებული საჩხერეში.**

**ტატუაშვილი დავით, ივანეს ან ნიკოლოზის) ძე, დაბადებული 1905 ან 1906 წელს, გორის რაიონის სოფელ ფლავში.**

**ცესტაშვილი (ან ფითაშვილი) აბრაამ კნებოს ძე, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში.**

**ჩანგოვაძე (ჩოგოვაძე) ვარლამ მიხეილის ძე, ქუთაისი, სოფელ ანურჩხი.**

**ჩუნაშვილი (ჯონიშვილი) გრიგოლი ლევანის ძე, დაბადებული 1915 ყვარლის რაიონში.**

ამასთან ცნობილი ხდება, რუსეთ-ფინეთის ომიდან, გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილი ქართველი ფარმაცევტის, **გიორგი არჩილის ძე სეხნიაშვილის** საოცარი ისტორია, რომელიც თბილისში, პლეხანოვის № 80-ში ცხოვრობდა. მეუღლე – ნინა სერგეის ასული. შვილების შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

1907 წელს, საქართველოში დაბადებული გიორგი სეხნიაშვილი, ქალაქ ტაგანროგში, 1941 წელს, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ფარმაცევტი, თავის სპეციალობით, საბჭოთა არმიაში 12 წელი მსახურობდა. ის სსრკ-ფინეთის ომის მონაწილეც იყო...

მეორე მსოფლიო ომის დროს, ის ქალაქ ბერდიანსკის ალყის დროს გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს... როგორც მისი ფრონტელი მეგობარი, ებრაელი ოფიცერი იხსენებს, მან ქართველი ფარმაცევტი გერმანულ ბანაკში, როსტოვის ოლქის, სოფელ ლატონოვოში გაიცნო. მისი თქმით, ის მას ლუკმას უყოფდა. როდესაც გერმანელმა ოფიცერებმა, ის ებრაელი ოფიცრის მფარველობის გამო, გააფრთხილეს და დახვრეტით დაემუქრნენ, მან ებრაელთან ერთად ბანაკიდან გაქცევა დაგეგმა...

**"როგორც კი ბანაკიდან გასვლის საშუალება მოგვეცა, გავიპარეთ. რა დროსაც მძიმედ დავიჭერი და გიორგი არჩილის ძემ, ქალაქ ტაგანროგის უახლოეს საავადმყოფომდე, რამდენიმე კილომეტრით ზურგით მატარა. ჭრილობასთან ერთად, ტიფითაც ვიყავი დაავადებული..."** – იხსენებს ებრაელი ოფიცერი, რომლის თქმითაც, ტაგანროგში, სეხნიაშვილსაც ტიფი შეეყარა.

"იგი ძალიან განათლებული და კარგი მოსაუბრე იყო... სწორედ იქ გაიგეს, რომ სპეციალობით ფარაცევტი იყო და საავადმყოფოში დატოვეს... ადგილობრივი რენტგენოლოგის, გვარად ლაურის დახმარებით, მან ქალაქი პატრიოტები გაიცნო. სწორედ მათ დაავალეს ექიმების იატაკქვეშა ორგანიზაციის ჩამოყალიბება... მედიკოსები, სამედიცინო საწყობში, იარაღს მალავდნენ... გიორგი, რადიოს საშუალებით იღებდა ინფორმაციას და მათ ფრონტის ამბებს აწვდიდა. მას ხელში საბეჭდი მანქანა ჩაუვარდა და პროკლამაციებს ავრცელებდა... მან ძალიან ბევრი დაჭრილი მეომარი სიკვდილს გადაარჩინა.

ამასთან, მას ხელი მედიკამენტებზეც მიუწვდებოდა და "ქალაქის პატრიოტებს" აწვდიდა... იგი გაყალბებული დოკუმენტაციით, სამხედროების გაქცევას გეგმავდა... თუმცა, 1943 წელს დააპატიმრეს, მან გაქცევა კიდევ ერთხელ სცადა, თუმცა არ გამოუვიდა. 1943 წლის 12 ივნისს, ქალაქის გათავისუფლებამდე 2 თვენახევრით ადრე, გერმანელებმა დახვრიტეს..."

ლალი პაპასკირი

*პარალელები*

## რამ გამახსენა?

**ორ დიდებულ ძმას – ჩვენი დღეების მიქელანჯელოს, სულგანათლებულ მერაბსა და მის ღვიძლს, ბატონ ელგუჯას არასდროს არაფერი ჰქონიათ საერთო „რესპუბლიკელ" ბერძენიშვილებთან, მით უფრო ჭეშმარიტად დიდი ხელოვანის – ზურაბ წერეთლის შესახებ ლევან ბერძენიშვილისეულ უაზრო პრუტუნთან დაკავშირებით.**

*(აუცილებელი განმარტება)*

**ისეთი ჰქონდა ცუგოს იერი,**
**რომ გარეგნობით არაუშავდა,**
**ოღონდ ეს არი, მასზე ძლიერი**
**არ გაუშვა, რომ არ აუშარდა.**

**ერთხელაც ყეფით წასწვდა უკნიდან**
**და ნამდვილ ნაგაზს კანჭზე უკბინა.**

**ღრენა არ წასცდა „მსხვერპლს" სააუ-**
**გოდ,**
**თითქოს რა მოხდა და რა დაშავდა?!**
**ასწია ფეხი და დინჯად ცუგოს**
**პირდაპირ თავზე გადააშარდა.**

**იმ დროს ნანახი ანალოგს ირეკლს**
**და გენიოსებს რომ აუშარდნენ,**
**ყველა მათგანი მაგონებს იმ ლეკვს,**
**თავხედობა რომ გადაუშარდეს!**

ალექსანდრე შენგელია

**15 წლის წინათ მე და ჩემი სიყრმის მეგობარი, თანამერხელი ბივი მიზანდარი, ფირზე, მასპინძელთან – ბატონ მერაბ ბერძენიშვილთან ერთად, სამხატვრო აკადემიაში ამ ორი პროფესორის აღზრდილმა და დღეს უკვე ცნობილმა მხატვარმა, ქალბატონმა ციცინო ედიშერაშვილმა აღგვბეჭდა.**

# ...ამას მოითხოვს ჩვენგან ამ დღეებში ტრაგიკულად გარდაცვლილი ჩემი მეგობრის და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, თამაზ ჟორჟოლიანის სულიც!..

...გასული საუკუნის 80-ანი წლების მიწურულის და 90-იანი წლების დასაწყისის ეროვნული მოძრაობა ნამდვილად არ ყოფილა უსაშველოდ გულუბრყვილო, მიამიტ მამულიშვილთა მოძრაობა, როგორც ეს ზოგიერთ „ჭკუისკოლოფს" დღევანდელი გადასახედიდან სურს წარმოაჩინოს... საქმეც იმაშია, რომ ამ მოძრაობის ძირითად ბირთვს (მიტმასნილები არც მყავს სათვალავში) პრინციპში მშვენივრად ჰქონდა გათავისებული არსებული რეალიების სირთულეები... თუმცა, სხვა საკითხია, რომ ეს მოძრაობა მაინც იყო გარკვეულწილად რომანტიული შეფერილობის, მაგრამ რომანტიულობას და სიბრიყვეს შორის ნამდვილად არსებობს არსობრივი განსხვავება... დიახ, ჩვენ რომანტიკოსები ვიყავით, მაგრამ იმ პერიოდში ნამდვილად გამოვხატავდით ჩვენი ხალხის მისწრაფებას, რომ აღგვედგინა ეროვნულ-ტრადიციულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა... დიახ, ჩვენ ვიყავით რომანტიკოსები და ვფიქრობდით, რომ მსოფლიო მიუხედავად ყველაფრისა მაინც იყო იმაზე უკეთესი, ვიდრე ის სინამდვილეში აღმოჩნდა... მსოფლიო პოლიტიკის მამებიც შედარებით წესიერები, ნამუსიანები გვეგონა... გვწამდა, რომ ამ ცისქვეშეთში ნამდვილად შეიძლებოდა კაცობრიობას ბედნიერად ეცხოვრა... გვწამდა, რომ ჩვენს სამართლიან მისწრაფებას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ე. წ. თავისუფალი სამყაროც მათთვის ჩვეული პრაგმატიზმის თუ ორმაგი სტანდარტების მიუხედავად ბოლოსდაბოლოს ანგარიშს გაუწევდა და მხარსაც დაუჭერდა... გვწამდა, რომ თითოეული დიდი თუ პატარა ერის თავისუფლად და ჰარმონიულად თანაცხოვრებაც ნამდვილად იყო შესაძლებელი... შესაძლოა ჩვენი ერი ზედმეტად იმპულსური რომაა – ესეც ნაკლებად გვქონდა გათვალისწინებული... მაგრამ, კვლავ მინდა ხაზი გავუსვა: ეს არ იყო გულუბრყვილობა! ეს მითუმეტეს არ იყო სიბრიყვე! ბოლოსდაბოლოს ჩვენი სამშობლო დე იურე დამოუკიდებელი სახელმწიფო რომაა – ეს უწინარესად იმ ეროვნული მოძრაობის დამსახურებაა! აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად, გლობალიზაციის ამ მღვრიე ჭაობში შედარებით სუფთა, უსაფრთხო ალაგის პოვნა უნდა გახდეს დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანა! აი, თუ რამდენად მოახერხებს ამ ალაგის პოვნას მრავალათასეულ საუკუნეთა ქარტეხილებს გამოღწეული ჩვენი კოლხურ-იბერიული ჯიში და ჯილაგი – ამას უახლოესი წლები დაგვანახებს... დიახ, უახლოესი წლები, რადგან არ მინდა ავის წინასწარმეტყველი ორაკულივით გამომივიდეს, მაგრამ სულ მალე შესაძლოა ჩვენი ხალხის ისტორია ძალიან სავალალოდ დასრულდეს!..

და კიდევ: დამწამეთ ზედმეტად რომანტიულობა, გნებავთ უსაფუძვლო ოპტიმისტურობაც, მაგრამ მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ამ პლანეტაზე შესაძლებელია გლობალიზმის იმ ყოვლისშთანთქმელი მყაყე ჭაობის ამოშრობაც! როგორც ეროვნული მოძრაობის იმ რომანტიულ წლებში – ახლაც ვფიქრობ, რომ ამ პლანეტაზე შესაძლებელია თავისუფალ ერთა და ეთნოსთა ბედნიერი თანაცხოვრებაც! ამ პლანეტაზე შესაძლებელია კოლხურ-იბერიული იდენტობა შენარჩუნებულ ჩვენს მოდგმასაც ჰქონდეს საკუთარი ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობა! მწამს, რომ ესაა იდეალი! მწამს რომ, ამისთვის ღირს სიცოცხლეც და რასაკვირველია ბრძოლაც!.. მწამს რომ, ჩვენი ხალხიც თავს გაინთავისუფლებს სუიციდის სინდრომისაგან! მწამს, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! მწამს, რომ ამას მოითხოვს ჩვენგან ამ დღეებში ტრაგიკულად გარდაცვლილი ჩემი მეგობრის და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, თამაზ ჟორჟოლიანის სულიც!..

**ზურაბ კვარაცხელია,**
**ზუგდიდი**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია უდიდესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი**

**თემურ ქორიძე**

**უფალმა გაანათლოს მისი სული...**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია უდიდესი მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი**

**თამაზ ჟორჟოლიანი**

**უფალმა გაანათლოს მისი სული...**

# ᲣᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡ ᲜᲔᲚᲡᲐᲪᲮᲔᲑᲔᲚᲖᲔ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

შარშანწინ, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** ჩემმა უსაყვარლესმა პოეტმა და რედაქტორმა ისეთი ლექსი დაბეჭდა, რომ სულით ხორცამდე შემძრა და მათქმევინა ის, რაც ამავე გაზეთმა 2015 წლის 30 დეკემბერს ბატონი ჯანსუღის პორტრეტთან ერთად გამოაქვეყნა. აი, ისიც!

### ჯანსუღ ჩარკვიანს

ექსპრომტი, რომელიც დაბადა საქართველოს სახალხო პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვებმა: **„როგორც უფალს ვერ წაართმევ ქრისტიანს, საქართველოს ვერ წაართმევ ქართველს“.**

***სახალხო ხარ, თუმც ცხოვრება ხისტია,***
***არ მოსწონხარ „ცისფერებს“ და „ქათმებს“,***
***ვაჟკაცობა ვერ წაგართვეს ქრისტიანს,***
***შენი ლექსი ვერ წარსტაცეს ქართველს.***
***მერე რა, თუ ზოგს თვალებზე ბისტი აქვს,***
***არწივიც გყავს და ლამაზი მართვეც;***
***ღმერთო, რწმენას ნუ წაართმევ ქრისტიანს,***
***ჯანსუღის ლექსს ნუ მოაკლებ ქართველს!***

ეს რომ წაუკითხავს, რედაქტორისათვის დაურეკავს, რათა ჩემი კოორდინატები დაედგინა და მადლობა პირადად ეთქვა.

ამას შემთხვევით არ ვიხსენებ. ყოველთვის და ყველასთან გამორჩეულად ყურადღებიანი გახლდათ და თანაც არა მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც მასზე ან მის ოჯახზე იტყოდა კეთილ სიტყვას, არამედ ყველასადმი, განსაკუთრებით კი იმის მიმართ, ვინც მისი რედაქტორობით გამომავალ **„ცისკარს“, „დროშასა“** და გაზეთ **„ქართულ სიტყვას“** სასურველ მასალას მიაწვდიდა. ამის მოწმე და მნახველი მრავალჯერ გავმხდარვარ და, შორს რომ არ წავიდე, ამჯერადაც საკუთარ მაგალითს დავასახელებ. 1995 წლის სექტემბრის ბოლოს ისრაელში მივლინებიდან დაბრუნებულმა **„დროშის“** პასუხისმგებელ მდივანს, პოეტ ვასო გვეტაძეს ნარკვევი გადავეცი.

– რა დაარქვი? – დაინტერესდა თანამშრომლის კაბინეტში შემოსული ბატონი ჯანსუღი, ვიდრე მასალას გამოართმევდა და გადაათვალიერებდა..

– **„პირდაბანილი მზის სადღეგრძელო“.**

– რატომ? – გაიკვირვა.

– სასწაულებრივი ამბის მომსწრე გავხდი, ბატონო ჯანსუღ! ისრაელში, სადაც წელიწადის ამ დროს წვიმა არასდროს მოსულა, იერუსალიმის საიუბილეო დღეების წინა სადამოს ნამდვილი თავსხმა იყო და დილით ქალაქის ცა იუბილეს დაწმენდილი თვალებით შეეგება.

– საინტერესო დამთხვევაა!

მადლობა? მადლობა იმ დღეს არ თქმულა. მაშინ ჩვენი შეხვედრა საოცრად ემოციური დატვირთვით ნათქვამი ამ ორადორი სიტყვით ამოიწურა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ყოველგვარ მოლოდინს აღმატებული ჰონორარით.

საერთოდ ბატონ ჯანსუღზე, როგორც რედაქტორზე, ბევრი კეთილი სიტყვა შეიძლება ითქვას, რადგან ჟურნალისტის პროფესიული თვალით დანახული მოვლენები მის პოეზიას მამულიშვილური შემართებით ერწყმის და ერთ დიდ მთლიანობად აღიქმება.

* * *

სოლომონ ბრძენივით დავითის ძე და თავადაც უბრძენესი მეფე კოჰელეთი, რომელიც ბერძნებმა ეკლესიასტედ **„მონათლეს“**, ბრძანებდა: **„კარგი სახელი სჯობია კარგ ნელსაცხებელს და სიკვდილის დღე დაბადების დღეს“.**

ეს სიტყვები უმკაცრესად, მაგრამ უზუსტესად არის ნათქვამი, თუმცა ამ წუთებში აუტანლად ძნელი მოსასმენია, რადგან დგას განშორების წამები... და მაინც თითოეულ ჩვენგანთან ნუგეშად რჩება იმედი, რომ უკვდავია სული ჭეშმარიტად სახალხო პოეტისა, რომლის სახელი ყველაზე უძვირფასესი ნელსაცხებლის სურნელით მთაწმინდამდე ამაღლდა!

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ**

# ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲑᲠᲐᲚᲐᲓ ᲔᲓᲔᲑᲐ...

„ნაცების“ მორიგი სქემა და გია ბარამიძის, ანუ აფრასიძეთამყლეტის შეუვალი პოზიცია – თურმე მიხა სააკაშვილს ვერც საქართველოში და ვერც უკრაინაში ვერავითარი დანაშაული ვერ აღმოუჩინეს, რომ ოლიგარქების მიერ შეთითხნილია ბრალდებები პიჯაკების, სამგლოვიარო გვირგვინებისა და აბანოს საპნებზე. თურმე მიხო იმდენად წმინდანია, მეტი ვერაფერი მოიფიქრეს“, - ამის შესახებ სტატიას სააგენტო „ექპრესსინფო“ აქვეყნებს:

„ბარამიძეც და მიხას სხვა მიმდევრებიც სირაქლემობას თამაშობენ, თავები ქვიშაში აქვთ წარგული და ჰგონიათ, უკანალები არ უჩანთ. მათი გაცხელებული ჭკუით, 9 წლის განმავლობაში საქართველოს 300 ათასმა მოქალაქემ თავად გაისამართლა თავი, ბიზნესმენებმა და სხვებმა ნებაყოფლობით ჩააბარეს ქონება სახელმწიფოს, მიიყენეს თვითდაზიანებები და ციხეებში აწამეს ერთმანეთი. 150-მა ახალგაზრდამ ქუჩაში თავად ჩაიცხრილა თავი. საქართველოს მოქალაქეებმა ასევე გაიუპატიურეს თავები და ვიდეოზე გადაიღეს, შემდეგ კი დაამზადეს 27 ათასი ფაილი და შეინახეს კასრებში.

ამრიგად, ამჟამად მოქალაქეობის არმქონე მიხეილ სააკაშვილს, დაბადებულს 1967 წლის 21 დეკემბერს, ქ. თბილისში, ყოფილ პრეზიდენტს, ბრალი ედება არაერთი დანაშაულის ჩადენაში, რაც ისჯება საქართველოს სს კოდექსის შემდეგი მუხლებით:

**მუხლი 161 – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა, უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იარაღის გამოყენებით, რამაც გამოიწვია მასობრივი არეულობა, სიცოცხლის მოსპობა და სხვა მძიმე შედეგები. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.**

**მუხლი 154 – ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.**

**მუხლი 162 – არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.**

**მუხლი 1641 – ამომრჩევლის მოსყიდვა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე**

**მუხლი 1643 – არჩევნების გაყალბება, ისჯება** თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

**მუხლი 159 – პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა.** ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

**მუხლი 160 – ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა.** ჩადენილი ძალადობით ან მუქარით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

**მუხლი 1443 – დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა,** ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე.

**მუხლი 332 – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება** სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ. ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვა წლამდე.

**მუხლი 181 – ქონების გამოძალვა.** ისჯება თავისუფლების აღკვეთით თერთმეტ წლამდე.

**მუხლი 147 – ადამიანის განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება.** ისჯება თავისუფლების აღკვეთით თორმეტ წლამდე.

**მუხლი 345 – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა,** რამაც გამოიწვია მძიმე შედეგები. ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვა წლამდე.

**მუხლი 310 – საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა.** უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომლის მიზანია საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ან აგრესიის სხვა აქტის მომზადება ან განხორციელება. ისჯება თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტ წლამდე.

**მუხლი 312 – საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა. სამხედრო ტექნიკის ან სამხედრო ობიექტის დაზიანება,** მწყობრიდან გამოყვანა ან განადგურება, ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოც წლამდე.

**მუხლი 109 – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ორი ან მეტი პირისა, განსაკუთრებული სისასტიკით.** ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

**ამ დანაშაულში ბრალდებული სააკაშვილი გვევლინება ორგანიზატორად, წამქეზებლად ან დამხმარედ. რა სამგლოვიარო გვირგვინები, რომელი პიჯაკები? ეს ადამიანი გახლავთ პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე!“** – ნათქვამია სტატიაში.

# ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲚᲣᲥᲔᲑᲘ

კონტრაქტის დამთავრების შემდეგ, ფაქტობრივად, ქართველი ჯარისკაცების ბედი გაურკვეველია. მათ სამსახურის შოვნა უჭირთ და სამოქალაქო ცხოვრებაში მათი დაბრუნებაც რთულია. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას ქართველ ჯარისკაცებს მხოლოდ ერჯერადი კომპენსაცია ეძლევათ, სამხედრო პენსია კი მხოლოდ 20-წლიანი ნამსახურეობის შემდეგ ენიშნებათ. გამოდის, რომ, თუკი სამხედრო სამსახურს 20 წელზე ადრე დაანებებ თავს, ნამსახურეობის წლები აღარ გეთვლება და არც ჯარში მიღებული შენი ცოდნა გამოადგება ვინმეს. შესაბამისად, ერთადერთ გამოსავლად **“კომერციული არმია”** რჩება, რომელიც მოქმედებს ერაყში, ავღანეთში, აფრიკაში...

დაქირავებული ქართველი მეომრებიც ან სხვის ომში იბრძვიან ქართველი მამლუქებივით, ან უცხო ქვეყნის კერძო კომპანიებს იცავენ თავდამსხმელებისგან. როგორც ამბობენ, დაქირავებული მებრძოლების ანაზღაურება თვეში დაახლოებით 3 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ქართველი მებრძოლისთვის ოჯახის შენახვის მიზნით ამ კომპრომისზე წასვლა, თუნდაც უცხო ქვეყანაში გადახვეწის საფასურად, ღირს.

მძიმე დემოგრაფიის მქონე ჩვენისთანა ქვეყნისთვის პრობლემურია საკითხი, თუ რატომ უნდა მუშაობდეს ქართველი სხვისთვის და სხვის ომში იღუპებოდეს?

ამის შესახებ ინტერნეტსაიტი For.ge ანალიტიკოსს სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, ბრიგადის გენერალ ამირან სალუქვაძეს ესაუბრა.

მამლუქების ამბავი საქართველოს ტრაგედია იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ეს დროში განგრძობითი პროცესია და დღესაც ქართველები სხვის ომში იღუპებიან. ამ პრობლემას ჩვენთვის უფრო გლობალური ხასიათი აქვს. რატომ ვერ ვახერხებთ კადრების შენარჩუნებას და პროფესიონალების ადგილს ძალიან ხშირად რატომ იკავებენ არაპროფესიონალები?

– საკადრო გადინება ძალზე სერიოზული პრობლემაა. 2005 წლიდან მოყოლებული დღემდე ძალიან დიდი საკადრო რესურსი დავკარგეთ. როცა ოფიცრების მასობრივი გაშვება დაიწყო, მეც მათ პირველ ტალღაში მოვხვდი. ჩემზე აღარაფერს ვამბობ, თუმცა დაგენანება კაცს, როცა 7-წლიანი სამხედრო განათლება გაქვს მიღებული, 30-წლიანი სამსახურეობრივი სტაჟი გაგაჩნია და შენი გამოცდილება არავის სჭირდება. ამ ცოდნასა და გამოცდილებას ერთ დღეში ვერავის გადასცემ. ეს ხომ არაა ციფრული ინფორმაცია, რომ მეხსიერებაში ჩაუწერო. არ მოსწონთ ხოლმე ასეთი შეფასებები.

მართლაც თაობათა დიდი ცვლა მოხდა შეიარაღებულ ძალებში და აგვისტოს ომში ჩვენ ცუდად ვიგემეთ ამ ყველაფრის საფასური. ყველამ ვნახეთ, რამდენ დღეს შევძელით წინააღმდეგობის გაწევა. ფაქტობრივად, ჩამოშალა ჯარის მმართველობა. ამ დროს ჯარის აღჭურვაზე დიდძალი თანხები დაიხარჯა.

იმ პერიოდში ჯარიდან დათხოვნის პოლიტიკური მიზეზები არსებობდა.

– სწორედ მაშინ დაიწყეს რაღაც იარლიყების ჩამოკიდება – **“საბჭოთა განათლება”, “საბჭოთა ოფიცრები”**, რაც ასობით დამსახურებული ოფიცრის უპატივცემულობა იყო. ახლახანს ჩვენ დავასაფლავეთ 25 გმირი. მუდმივად საუბრობენ ცნობად სახეებზე – გურამ გაბესკირიაზე, მამია ალასანიაზე, მაგრამ მათთან ერთად იყო კიდევ 23 სხვა პიროვნება, რომელთაც საზოგადოება ნაკლებად იცნობს. სამაგიეროდ, იცნობს ვიწრო წრე, იცნობენ მათი ყოფილი თანამებრძოლები. ავიღოთ, თუნდაც, ზემოთ ხსენებული ეს ორი პიროვნება, ორივე პოლკოვნიკი გახლდათ, იმ დღეს ხომ არ მიუღიათ ეს პოლკოვნიკობა? მამია ალასანია გახლდათ ყოფილი კგბ-ს, ანუ უშიშროების პოლკოვნიკი. არ იყო იგი გმირი? კგბ-ზე მუშაობდა და მაგიტომ იბრძოდა იქ? რამდენი ასეთი იბრძოდა აფხაზეთში?! ისინი ხომ საბჭოთა არმიის, საბჭოთა სისტემის ოფიცრები იყვნენ. მაგალითად, ქართველი სამხედრო მფრინავი, პოლკოვნიკი იზანი ცერცვაძე 1993 წლის 23 სექტემბერს სოხუმის რაიონში, სოფელ თავისუფლებასთან ჩამოაგდეს და დაიღუპა. ამ პიროვნებამ წარმატებული კარიერა მიატოვა რუსეთში, სადაც პოლკის მეთაური იყო. ჩემთვის ის ერთ-ერთ მაგალითად ითვლება. უამრავი ასეთი ადამიანია, რომელთა მიმართაც არაკეთილსინდისიერებაა იარლიყების ჩამოკიდება, თუ არ გაქვს შესაბამისი საფუძველი.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, 1992-93 წლებში 1.137 ოფიცერი ჩამოვიდა საქართველოში რუსეთიდან, საბჭოთა ჯარიდან. საუბარია კადრის ოფიცრებზე, რომლებმაც დატოვეს რუსული არმია და ჩამოვიდნენ. რა ელოდა ამ ხალხს? ომი და განუკითხაობა, უშუქობა და უბედურება. თუმცა ვინ დაუფასა? იყო პიროვნული მომენტებიც, ვიღაცას კარიერის აწყობა უნდოდა და ამ დროს, როგორც წესი, კვალიფიციური ხალხი ხელს უშლით ხოლმე. ამ ადამიანების მოცილება სწორედ იარლიყების მიწებებით იოლი იყო. მთლიანობაში, ეს მაინც პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. აბა, როგორც ახლა ეძახიან, ტესტირება არავის ჩაუტარებია და ჩვენი კვალიფიკაცია არავის დაუდგენია. იმ წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება კადრების გადინება. ახლახანს, ზამთარში გამოვაქვეყნე, თუ ვინ დატოვა სამხედრო საჰაერო ძალები, მაღალი კლასის კვალიფიკაციის ოფიცრები დავკარგეთ. ეს კომპლექსური პრობლემაა, რომელსაც სახელმწიფომ უნდა მიხედოს. არ მინდა, სტალინის ფრთიანი ნათქვამი გავიხსენო, კადრები წყვეტენ ყველაფერსო, მაგრამ ასეა. იმისთვის, რომ გამოვზარდოთ ბრიგადის მეთაური, 12-15 წელია საჭირო. წარმოიდგინეთ, როცა ყოველი მინისტრი საკუთარ **“საკადრო პოლიტიკას”** ატარებს და არ არსებობს კადრების ზრდის სისტემა. ვინმეს წარმოუდგენია, ბანკში მივიდეს ახალი მმართველი, გაუშვას ყველა და მოიყვანოს ახალი ხალხი? სხვათა შორის, ბანკებს საკმაოდ სერიოზული საკადრო სისტემა აქვთ. რიგითი ოპერატორი გახდება ბანკის მმართველი? რატომღაც ჯარში გვგონია, რომ შეიძლება მთელი სტრატეგიული და ოპერატიული დონის მმართველი სახლში გაუშვა და ეს გავლენას არ იქონიებს. ჯარში, ისევე როგორც ყველა სფეროში, გამოცდილება ფასობს. ეს საკანონმდებლო დონეზეა დასარეგულირებელი, რომ ოფიცრების მარტივად გაშვება სახლში ფიზიკურად შეუძლებელი იყოს.

ქართველები კონტრაქტით მიდიან, მუშაობენ კერძო კომპანიებში ავღანეთში, ერაყში, აფრიკაში. სულ ახლახანს კონგოში კონტრაქტით მომუშავე ქართველის ბედის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გავრცელდა. ასე უაზროდ იკარგებიან ჩვენი თანამემამულეები მაშინ, როცა საქართველოში ისტორიულად ყველაზე საპატიოდ ითვლებოდა მებრძოლის პროფესია.

– სხვათა შორის, სულ ახლახანს საქართველოდან წავიდა ძალზე კვალიფიციური მფრინავი, რომელიც გადავიდა უცხო ქვეყნის კერძო კომპანიაში. მიზეზები ყველგან ერთი და იგივეა. მარტივად გეტყვით, მფრინავმა თუ არ იფრინა, ის კარგავს კვალიფიკაციას და ეძებს ადგილს, სადაც შეიძლება საკუთარი თავის რეალიზება მოახდინოს. სადაც დაუძახებენ, იქ წავა, მით უმეტეს, თუ ანაზღაურება ნორმალური ექნება. რაც შეეხება კონგოს, საქართველოდან პირველი ნაკადი კონგოში მას შემდეგ წავიდა, როცა 2010 წლიდან ჩვენი გამოცდილი მფრინავები ერთიმეორის მიყოლებით სხვადასხვა მიზეზით წამოვიდნენ ჯარიდან. ჯერ ერთმა გაკაფა გზა კონგოსკენ, შემდეგ მეორე წაიყვანა. ასე მივიღეთ კონგოში საკმაოდ სოლიდური ქართული დესანტი. ეს ოფიცრები დღეს ქართულ სამხედრო ავიაციაში უნდა მსახურობდნენ.

ბევრი სამხედრო მფრინავი სამოქალაქო ავიაციაშიცაა გადასული. ზოგი **“აირზენაში”** დაფრინავს, ზოგი სხვა კერძო ავიაკომპანიაში, ჩვენი ყოფილი მფრინავი **“აეროფლოტშიც”** დაფრინავს. ასე რომ, ჩვენმა არმიამ დიდი საკადრო დანაკარგი განიცადა, ნაცვლად იმისა, რომ გამოცდილი თაობა შეგვენარჩუნებინა. სწორედ მათ ბაზაზე უნდა განვითარებულიყო ქართული სამხედრო მეცნიერება, ისინი უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი ახალგაზრდა ოფიცრების მომზადებით. სახელმწიფო, რომელიც კადრებს ანიავებს, არ უფრთხილდება პროფესიონალებს, წარმატებას ვერ მიაღწევს.

**ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# მსაჯმა თამაშის დაწყება რომ მანიშნა, გავაქანე და პირდაპირ მას გავარტყი!

ცოტა ხნის წინ მკითხველს გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა წარვუდგინეთ. ბატონი მურთაზი დიდი დროის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი გახლდათ. დღევანდელ წერილში ისტორიის კუთვნილი ამ გუნდის მეორე ქართველ კაპიტანს წარმოგიდგენთ. ალბათ მიხვდით, საუბარი ალექსანდრე ჩივაძეზე გვექნება.

ჩივაძის სახელის გაგონებაზე ბევრს ესპანეთის მსოფლიო პირველობის სსრკ-შოტლანდიის შეხვედრა და მატჩის მეორე ნახევარში ჩივაძის მიერ გატანილი გოლი წარმოუდგება. იმ მატჩის პირველ ტაიმში ქართველმა მცველმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ იღბალმა არ გაწირა და ანგარიშის გათანაბრება თავადვე შეძლო.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ჩივაძემ მწვრთნელობა დაიწყო და ეროვნულმა გუნდმა სწორედ მის ხელში მიაღწია ყველაზე დასამახსოვრებელ წარმატებას, როდესაც ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში საპატიო მესამე ადგილი დაიკავა და წინ მხოლოდ გერმანიისა და ბულგარეთის ნაკრებები გაუშვა.

ბატონი ალექსანდრე ჩივაძე დღეს ჩვენი სტუმარია.

„ბავშვობაში ვერც ვიფიქრებდი, რომ წლების შემდეგ „დინამოს" მაისურს მოვირგებდი - ეს ყველაფერი თავხედურ ოცნებად მიმაჩნდა. მაშინ მიშა მესხის, სლავა მეტრეველის, სერგო კოტრიკაძის, შოთა იამანიძის, მურთაზ ხურცილავას და „სიომა" ბარქაიას თამაშით ვტკბებოდი – ისინი ჩემი კერპები იყვნენ! ხომ წარმოგიდგენიათ, რას ვგრძნობდი, როცა 1973 წელს „დინამოში" მიმიწვიეს?!

„დინამოში" მისვლის დღე გუშინდელივით მახსოვს: მაშინ ალიოშა კოტრიკაძე იყო მთავარი მწვრთნელი, სერგო კოტრიკაძე კი მეორე მწვრთნელად მუშაობდა. ნესტორ ჩხატარაშვილი გუნდის უფროსი იყო, დუბლებთან, ანუ ჩვენთან კი ანდრო ზაზროევი იყო მომაგრებული. სანამ „დინამოში" დაგვტოვებდნენ, მკაცრი კონკურსი გავიარე, ორმხრივ შეხვედრაშიც მივიღე მონაწილეობა: მეორე შემადგენლობა ძირითადთან გვათამაშეს. ერთ მომენტში შევნიშნე, რომ მეტოქის მეკარე დავით გოგია კარიდან იყო გამოსული, მეც ავდექი და დაახლოებით 25 მეტრიდან ბურთი თავზე გადავუგდე! მატჩის მერე კახი ასათიანმა მითხრა, ესე თუ გააგრძელებ დიდი ფეხბურთელი დადგებიო. მისი სიტყვები ჩემთვის, 18 წლის ბიჭისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა! მაშინ ჩემთან ერთად გოჩა და მანუჩარ მაჩაიძეებმა, ვლადიმერ გუცაევმა და ბესო მჭედლიშვილმაც ითამაშეს.

არავისთვისაა ახალი, რომ „დინამოს" აღზევება გუნდში ნოდარ ახალკაცის მისვლის შემდეგ დაიწყო. პირველივე წელს დიდ წარმატებას მივაღწიეთ – საკავშირო ჩემპიონატში ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოვიგეთ და რაც მთავარია, ნანატრ თასსაც შევწვდით. მიმაჩნია, რომ ახალკაცის „დინამოს" პირველი მართლა მაღალი დონის მატჩი თასის ნახევარფინალი იყო, დონეცკის „შახტიორთან" პაექრობას ვგულისხმობ.

მაშინდელ და დღევანდელ რეჟიმს არც შევადარებ. იმ დროს პირველი გუნდის ფეხბურთელები წელიწადში მაქსიმუმ სამი კვირა თუ ვისვენებდით, ახლა კი სხვა მიდგომებია. მაშინ პროფესიონალები არ გვერქვა, არადა მხოლოდ ფეხბურთით ვცხოვრობდით.

პასუხისმგებლობა? „დინამოს" ფეხბურთელი თუ იყავი, გაცილებით მეტი მოგეთხოვებოდა, ვიდრე სხვა კლუბის მოთამაშეს – ჩვენ ხომ რესპუბლიკას წარვადგენდით ამხელა ქვეყანაში! ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩვენ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი გუნდის მოთამაშეები, მილიციის ოფიცრებადაც ვითვლებოდით. აბა გაებედა ვინმეს და რამე დაეშავებინა – პარტბიუროზე გაქონდათ საკითხი! იყო ასეთი ფეხბურთელი, ვაგიზ ხიდიატულინი, მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდა – ერთხელ რაღაც მიქარა და პირდაპირ ჯარში გაუშვეს, არადა კაცი ნაკრების წევრი იყო!

მსაჯთან უსიამოვნება? კი, ხდებოდა ხოლმე. ერთხელ მოსკოვში „ტორპედოს" ვეთამაშებით, 5 წუთია დარჩენილი და ანგარიში 0:0-ია. უცბად მოსკოველებმა წესების უხეში დარღვევით გოლი გაგვიტანეს. ისეთი აბსურდული მომენტი იყო, მსაჯს გოლი არ უნდა ჩაეთვალა, მაგრამ მან ცენტრისკენ გაიშვირა ხელი. მეც თანაგუნდელს გავძახე, ბურთი გადმომიგდე-მეთქი! მსაჯმა თამაშის დაწყება რომ მანიშნა, გავაქანე და პირდაპირ მას გავარტყი! ამ ამბავს მოედანზე გაგრძელება არ მოჰყვა, მაგრამ თურმე შეხვედრას მთელი მაშინდელი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა ესწრებოდა და სამაგიერო იმით გადამიხადეს, რომ 33 საუკეთესოს შორის მეორე ნომრად დამასახელეს. არადა, მანამდე სულ პირველი ვიყავი! კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, თუმცა ამ ამბავს მსაჯთან უსიამოვნება ნაკლებად ეთქმის: ბაქოში მუშკოვეცმა მოგონილი პენალტი დაგვინიშნა. როგორც კაპიტანი, მივედი და ვეუბნები, ხვალ ამ ამბავს კოლოსკოვის კაბინეტში ერთად გავარჩევთ-მეთქი. კოლოსკოვი მაშინ საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელი იყო. მუშკოვეცი დაიბნა, არ ელოდა და უცბად, ვითომ არაფერი მომხდარაო, მითხრა: ვინ გითხრა რომ პენალტია? პირიქით, თავისუფალი თქვენ უნდა შეასრულოთო. წამში შეცვალა გადაწყვეტილება!

1979 წელს საქართველოს ნაკრები, რომელიც ფაქტიურად თბილისის „დინამო" იყო, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ფინალში გავიდა და მხოლოდ მოსკოვის ნაკრებთან დამარცხდა, მალე კი „დინამომ" მეორედ მოიგო თასი – მოსკოვის „დინამოს" პენალტების სერიაში ვაჯობეთ. ამ ტურნირების გამო მოსკოვში თითქმის მთელი თვე დავჟავით. მახსოვს, ნოდარ ახალკაცის მეგობარი, მაშინდელი თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ანზორ ბურჯანაძე ჩამოვიდა და ქართული პროდუქტები ჩამოგვიტანა. ამ ამბავმა ცოტა ხასიათზე მოგვიყვანა, თორემ საშინელება იყო ამდენი ხანი მოსკოვში ყოფნა.

1979 წელს, საკავშირო თასის ფინალს „ლივერპულის" მწვრთნელი ბობ პეისლიც დაესწრო. ვერ ვიტყვი, რომ მოსკოვის „დინამოსთან" ის მატჩი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო. იმ დროს ყველაფერი ყელში გვქონდა ამოსული და ამიტომაც მივიდა საქმე პენალტებამდე. გახსოვთ ალბათ, იქ ოთარ გაბელიამ გვიშველა.

იმ წლების „დინამო" ნებისმიერი ამოცანის გადასაჭრელად მზად იყო: გამოცდილები ვიყავით, საკუთარი თავის გვჯეროდა, გვყავდა მართლა მაღალი დონის მწვრთნელი... იმ შემოდგომით, ჩემპიონთა თასზე ოთხი ურთულესი გამოცდა გავიარეთ - „ლივერპულთან" და „ჰამბურგთან" მატჩებს ვგულისხმობ. მივხვდით, რომ ძლიერ ევროპულ კლუბებს არაფრით ჩამოვუვარდებოდით.

„ლივერპულთან" ის ორი ლეგენდარული დაპირისპირება ჩემთვის დაუვიწყარია – ჩვენ პირველად ვხვდებოდით მსოფლიოს საუკეთესო კლუბს, „ლივერპული" კი მაშინ სწორედ ასეთი იყო. უნდა გენახათ რა სიტუაცია დაგვხვდა „ენფილდ როუდზე": სავსე, მოგუგუნე ტრიბუნები, თავზეხელაღებული ფანები... გულშემატკივრები ხელით გვიჩვენებდნენ, 10:0-ს მოგიგებთო... მეამაყება, რომ ასეთ თამაშში და ასეთ სტადიონზე გოლი გავიტანე: რეი კლემენსი შორეულ კუთხეში ელოდა დარტყმას, მე კი ახლოში დავურტყი. უნდა გენახათ რა მოხდა! გულშემატკივრები უცბად დადუმდნენ, რაღაცნაირი, შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა.

რატომ იყო ის „ლივერპული" დიდი გუნდი? ჯერ ერთი, უმაღლესი დონის ფეხბურთელები ჰყავდა: კენი დალგლიში, გრემ სუნესი, ალან ჰანსენი, რეი კლემენსი... და მწვრთნელი? ბობ პეისლი ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ტაქტიკოსად მიმაჩნია – მისი გუნდი მოკლე პასებით თამაშობდა და ბურთს ძნელად თმობდა. ამას დაუმატეთ დიდებული წარსული... თბილისში „ლივერპულის" კარისკენ პირველ ტაიმში არც დაგვირტყამს, თუმცა ეს უიღბლობის ბრალი არ იყო – ასეთი ტაქტიკა აირჩია მწვრთნელმა. შესვენების შემდეგ ჩვენი შემჩერებელი აღარავინ იყო – ერთიმეორეზე უკეთესი გოლები გავიტანეთ!

როტერდამში, „ფეიენოორდთან" საპასუხო თამაშზე გასახდელშივე ვიგრძენი, რომ მსაჯები რაღაცას გვიმზადებდნენ. ასეთი რანგის მატჩების წინ ყოველთვის შემოდიოდნენ არბიტრები და ბუცებს გვიმოწმებდნენ, იქ კი მსგავსი არაფერი მომხდარა. მთავარი არბიტრი ავსტრიელი იყო, გვარად ვიორერი. რაც მან იმ დღეს იკადრა... არც ვიცი რა ვთქვა, ძალიან უნამუსოდ მოიქცა!

*(გაგრძელება იქნება)*

# მილოცვა!

ჩვენს უახლოეს მეგობარს, ქუთაისის საპატიო მოქალაქესა და ჭეშმარიტად გამორჩეულ მრეწველს არჩილ მურღულიას, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ოფიციალურად იყო აღიარებული ლეგენდარულ დირექტორად და უამრავი საპატიო წოდება აქვს მინიჭებული, მისმა შვილმა და რძალმა – ეკა გაფრინდაშვილმა და თემურ მურღულიამ ახალი, ამასთან ყველაზე და ყველაფერზე სანუკვარი წოდება შემატეს: ტყუპი შვილიშვილების – არჩილ და ნუცა მურღულიების ბაბუობა!

გულითადად გილოცავთ, ძმაო არჩილ, ამ დიდ ბედნიერებას და რადგან შენი მრავალრიცხოვანი ტომეულებიდან ერთ-ერთს „მე და ჩემი სამი მე" დაარქვი. ნება გვიბოძე, ვთხოვოთ შენს უძვირფასეს თემურს და ეკას, გული არ დაწყვიტონ უმცროს არჩილსა და მის დაიკო ნუცას და მალე შემატონ ბაბუის კიდევ ორი სეხნია – სერგო და თოხლაიმი!

ამ ქვეყნად შვილიშვილების მოვლინებით მუდამ იხარეთ და იბედნიერეთ მათი პაპის – არჩილ მურღულიას ოჯახის მაღალო ჭერო და შენ, ჩვენი და უამრავი ჩვენი საერთო მეგობრის მეგობარო არჩილ!

სპარტაკ ქობულია,
ალექსანდრე შენგელია,
გაზეთ „ქუთაისის" ყოფილი
რედაქტორები,
როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ "ილორის" მთავარი
რედაქტორი

## თამაზ ჟორჟოლიანის დაღუპვის გამო

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ზუგდიდის საკრებულოს ახლადარჩეული წევრის, ჩემი მეგობრის თამაზ ჟორჟოლიანის ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

ვიხსენებ იმ ბედნიერ პერიოდს, როცა ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობის ზეობის ჟამს თამაზი ზუგდიდის პრეფექტად დაინიშნა და მისი თხოვნით ლამის ერთი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდთ ინგლისში, რათა ზუგდიდისათვის რაიმე სასიკეთო საქმე გაგვეკეთებინა. დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ არ დააცალეს...

თამაზ ჟორჟოლიანის სახით ქვეყანამ საზოგადოების ღირსეული წევრი დაკარგა. სამძიმარს ვუცხადებ თამაზ ჟორჟოლიანის ოჯახის წევრებს, მის ახლობლებსა და მეგობრებს.

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

## იუმორი

სვანს ცხენი დაეკარგა. ბევრი ეძება, ძალიან იდარდა და ბოლოს გული დაიმშვიდა – კიდევ კარგი, ზედ არ ვიჯექიო...

* * *

– ცოლი ვითხოვე! – ამბობს კახელი.
– გილოცავ! რა ჰქვია? – ეკითხება მეგობარი.
– რექსონა!
– ეგ რა სახელია?
– რექსონა ყველას სჯობია, ამას წინათ ტელევიზორმა გამოაცხადა: არასოდეს არ გიღალატებსო!

* * *

თვითმფრინავის სალონში ჯარისკაცი დგას და გადმოსახტომად ემზადება.
– პარაშუტის მოკიდება არ დაგავიწყდეს!
– აფრთხილებს სერჟანტი.
– პარაშუტი აუცილებელია? – ეკითხება ჯარისკაცი.
– აბა რა, ვერ ხედავ როგორ წვიმს?

* * *

– რატომ ზიხარ მთვრალი საჭესთან?
– ეკითხება პატრული ქუთაისელს.
– აბა, რომ წამოვწვე, ჩამეძინება, უფროსო!




**სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში**

*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



გაზეთ "ილორისათვის" ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე:
ს.ს „ლიბერთი ბანკი"
ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000
ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში
მფო: 220101480
მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22
ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,
ტელ. 571 22 66 34

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge